# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


პარასკევი, 13 მარტი, 2015 წელი.

№47 (7692)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.




## 21 მარტი, რომელიც მოძალადე, დამნაშავე ნაციონალური პარტიის ნარჩენებმა „ახალი ფერადი რევოლუციის დღედ“ დანიშნეს, თვითონ ამ ნარჩენების დასამარების დღედ უნდა იქცეს!

## ქვეყანა ხელიდან რომ არ გამოგვეცალოს! ⑤

საქართველოს დიდი იმედი აქვს ევროკავშირთან სავიზო სისტემის გამარტივების, უვიზო მიმოსვლის, რაც, ჩემი აზრით, კარგს არაფერს მოუტანს ქვეყანას. მკაცრი სავიზო რეჟიმის პირობებში საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მოახერხა უცხოეთში გადახვეწა და უვიზო სისტემის შემთხვევაში, რა იქნება?

## რობერტ სტურუა: ნუთუ დაგავიწყდათ აღვირახსნილი უკანონობა, ციხეში წამება, კაცების გაუპატიურება?!



რეჟისორი რობერტ სტურუა facebook-ის პირად გვერდზე წერს:

„სხვათაშორის, ქართველების გულმავიწყობა მაოცებს - ნუთუ დაგავიწყდათ აღვირახსნილი უკანონობა, ჯიბეგასიებული, ვითომ ძალიან წესიერი მინისტრები, ციხეში წამება, კაცების გაუპატიურება(!), ბიზნესის და ფულის წართმევა, იდიოტებისთვის განკუთვნილი ტელეარხები, ქალების გახრწნა, მით უმეტეს, ვითომ ინტელექტუალი ცოლების... და ტრაბახი და ტრაბახი - კორუფციას მოვერიეთო, ამერიკის და ევროპის ლობისტების გაბადრული სახეები (ო, რა ფული წაიღეს, იმ კარგდედმამიშვილებმა, ახლა ნაცისტები რომ აშანტაჟებენ: მხარი დაგვიჭირეთ, თორემ ვიტყვით, რა ფული წაართვით ქართველ ხალხსო!)

და კოჰაბიტაცია, ასე რომ გაამწარა ჩვენი ხალხი!.. და 21 მარტი!.. თუ დაიწყო ნაცისტების საოცნებო პროვოკაცია, არ დაავიწყდეთ, რომ ჩრდილოეთის დიდი მეზობელი, უკრაინისა არ იყოს, 2 საათში თბილისში იქნება...ვაჟკაცები, როგორც 2008 წელს, მოკურცხლავენ, ან პირიქით აგრესორებს ვასალური საქართველოს მთავრობაში შეიყვანენ!.. ო, მოღალატე მამულიშვილებო, მოგკითხავენ, ადრე თუ გვიან! მოგკითხავენ!“

## რა ბიზნესს ფლობენ ბათუმის საკრებულოს დეპუტატები?

## ვისთვის არის საქართველო მხოლოდ სახინკლე

## მიკროავტობუსის მძღოლებს დღიური გეგმური გადასახადი გაეზარდათ ④

◉ პოლიტიკური თამაშები

## ესტუფაშვილის ზარი მარგველაშვილთან და პრეზიდენტის „მუქარა“ ② ხადურისადმი



◉ უამრავი დაგროვილი კითხვა

## „გაბაზრებული“...


③

ისე უცნაური რამ ხდება ჩვენს თავს, აბა, ერთი გავიხედოთ, მთელი ქალაქი ბაზრად არის ქცეული, სადგურიდან მოყოლებული, სადაც არ გაიხედავ, ყველგან ბაზარია! თითქმის ათეული წლებია, ასე ვართ და, ალბათ, ვერც ვგრძნობთ, თუ როგორ „გაბაზრებულა“ ჩვენი ყოფაც.

### ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| EUR | 1 | ევრო | 2.5675 |
| USD | 1 | აშშ დოლარი | 2.2635 |
| GBP | 1 | დიდი ბრიტანეთის გ/სტ. | 3.5089 |
| RUB | 100 | რუსული რუბლი | 3.6338 |
| AZN | 1 | აზერბაიჯანული მანათი | 2.1794 |
| AMD | 1000 | სომხური დრამი | 4.7453 |
| UAH | 10 | უკრაინული გრივნა | 0.9243 |
| TRY | 1 | თურქული ლირა | 0.9179 |

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

მთავრობა

# პრემიერმა აშშ-ის სავაჭრო მისიას უმასპინძლა



**საქართველო-ამერიკის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მიზნით, თბილისში შეერთებული შტატების სავაჭრო მისია იმყოფება, რომელსაც აშშ-ის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, მეთიუ მიურეი ხელმძღვანელობს.**

წარმომადგენლობით დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში შედიან მსხვილი კომპანიების წარმომადგენლები, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უმასპინძლა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მხარეებმა საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოზე ისაუბრეს. აღნიშნულ კონტექსტში ხაზი გაესვა იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რომელსაც საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება აძლევს. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია თავისუფალ, გამჭვირვალე, ინკლუზიურ და მდგრად განვითარებაზე; ასევე, ხორციელდება მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის, საკუთრებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის და დამოუკიდებელ მართლმსაჯულებაზე თავისუფალი წვდომის მიმართულებით. შეხვედრის ერთ-ერთი თემა იყო ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა და „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი", რომლის პირველ შეხვედრას საქართველო 2015 წლის 15-16 ოქტომბერს უმასპინძლებს. აღინიშნა, რომ 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით აშშ-სთან სავაჭრო ბრუნვა 26,8%-ით გაიზარდა და 494,8 მლნ დოლარი შეადგინა; ექსპორტი 52,1%-ით, 207,5 მლნ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 26,8%-ით - 287,2 მლნ დოლარამდე გაიზარდა. პრემიერმა შეხვედრისას ხაზი გაუსვა აშშ-ის სავაჭრო მისიის საქართველოში ვიზიტის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ის ორი ქვეყნის მაღალი დონის სავაჭრო და საინვესტიციო დიალოგის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

# კახა კალაძე „ენგურჰესთან" დაკავშირებით აფხაზური მხარის წარმომადგენლებს შეხვდა

**ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი და აფხაზი ენერგეტიკოსების შეხვედრა გაიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას აფხაზური მედია ავრცელებს.**

მათივე ცნობით, შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები — მინისტრი კახა კალაძე, მისი მოადგილეები ილია ელოშვილი და მარიამ ვალიშვილი, ასევე, საქართველოს ენერგოსისტემის ხელმძღვანელი სულხან ზუმბურიძე. აფხაზური მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ დე ფაქტო ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი ვიქტორ ხილჩევსკი, „ჩერნომორენერგოს" გენერალური დირექტორი ასლან ბასარია, ე.წ. დეპუტატი ახრა ბჟანია, გალის რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციის უფროსი თემურ ნადარია.



აფხაზური მედიის ინფორმაციით, შეხვედრაზე, რომელმაც კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა, „ენგურჰესის" რეაბილიტაციის საკითხი იყო განხილული. ამასთან, ასლან ბასარიას თქმით, კონსულტაციები მომავალშიც გაგრძელდება.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, მოლაპარაკებები „ენგურჰესის" აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ მონაკვეთზე გაიმართა.

ენერგეტიკის მინისტრი, ვიცეპრემიერი კახა კალაძე აცხადებს, რომ აფხაზურ მხარესთან ენერგეტიკული მიმართულებით ძალიან კარგი თანამშრომლობა გვაქვს.

„წლებია, დამყარებულია კარგი ურთიერთობა, ეს ახლაც გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება. იქ მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები ვარდნილის ჰიდროელექტროსადგურებზე, კერძოდ, არხის გაწმენდითი სამუშაოები. ჩვენ დავათვალიერეთ აგრეგატები. იცით, რომ ენგურის აგრეგატები არის განთავსებული საბერიოში. დასრულებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები, 2016 წლისთვის ვგეგმავთ გვირაბის რეაბილიტაციას. ძალიან მასშტაბური სამუშაოები იქნება ჩასატარებელი და ამისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი იქნება ჰიდროელექტროსადგურის გაჩერება რამდენიმე თვით", — განაცხადა კახა კალაძემ.

რაც შეეხება კითხვას, იმ შემთხვევაში თუ გაჩერდება „ენგურჰესი", თუ იყო საუბარი ალტერნატივაზე, საიდან მიეწოდება აფხაზეთს ელექტროენერგია, კახა კალაძემ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება იღებს პასუხისმგებლობას, ელექტროენერგიით მოამარაგოს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები და მათ მთავრობა მიაწვდის ელექტროენერგიას.

პოლიტიკური თამაშები

# უსუფაშვილის ზარი მარგველაშვილთან და პრეზიდენტის „მუქარა" ხადურისადმი



**პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პარლამენტში 18 მარტის ნაცვლად, შესაძლოა, 20 მარტს გამოცხადდეს. for.ge-ს ინფორმაციით, საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის კონსულტაციები მიმდინარეობს, რათა უწყებაში ქვეყნის პირველი პირის გამოსვლის თარიღი შეთანხმდეს.**

ოფიციალური ინფორმაციით პრეზიდენტი პარლამენტს 18 მარტს უნდა ესტუმროს და დეპუტატების წინაშე წლიური მოხსენებით წარსდგეს, მაგრამ 18 მარტის პლენარულ სხდომაზე კვორუმი არ იქნება, რადგან კანონმდებლები სხვადასხვა ქვეყნებში მივლინებებით მიდიან.

წყაროს ცნობით, ვინაიდან, პლენარულ სხდომაზე კვორუმის არარსებობის საფრთხე არის, პარლამენტის ხელმძღვანელობა გიორგი მარგველაშვილის გარემოცვას პრეზიდენტის გამოსვლის თარიღის ორი დღით გადაწევას სთხოვს.

თუკი პარლამენტში კვორუმის პრობლემაზე აპელირებენ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოლიტიკურ კულუარებში აცხადებენ, რომ გიორგი მარგველაშვილი ქუთაისის პარლამენტში იმ შემთხვევაში არ ჩავა, თუკი 18 მარტის პლენარულ სხდომაზე, კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატს ნინო გვენეტაძეს კენჭს უყრიან.

პარლამენტში ამ დრომდე არ აკონკრეტებენ, ნინო გვენეტაძეს კენჭს 18 მარტს უყრიან თუ 18 აპრილს, რადგან საკითხზე ფრაქცია „ქართულ ოცნებაში" ისევ აზრთა სხვადასხვაობაა. ფრაქციის ნაწილს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის მიმართ კითხვები აქვს და მის მოსმენას „ქართული ოცნების" ფარგლებში ელოდება. სწორედ ამ სხდომის შედეგებზე იქნება დამოკიდებული, „ქართული ოცნების" სრული შემადგენლობა დაუჭერს თუ არა მხარს გვენეტაძეს, რადგან for.ge-ს ინფორმაციით, კოალიციის პოლიტსაბჭომ გადაწყვეტილება უკვე მიიღო, რომ უმრავლესობამ ნდობა სწორედ გვენეტაძეს გამოუცხადოს.

უმრავლესობის ნაწილი პოლიტსაბჭოს მოთხოვნას გაითვალისწინებს, თუ პრეზიდენტზე განაწყენებული გვენეტაძის კანდიდატურას ჩააგდებს, ამის პროგნოზი რთულია, რადგან „ქართული ოცნება" მარგველაშვილს იმის გამოც გაუნაწყენდა, რომ მან 13 მარტს რიგგარეშე სხდომა დანიშნა.

გუშინ, პროტესტის ნიშნად, შვიდი ფრაქციის ხელმძღვანელი ქვეყნის პირველ პირს არ შეხვდა და ავლაბრის რეზიდენციაში დაგეგმილი შეხვედრა გადადო, რომელსაც for.ge-ს ინფორმაციით, წინ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილსა და გიორგი მარგველაშვილს შორის სატელეფონო საუბარი უძღოდა. სპიკერმა პრეზიდენტს ურჩია, რომ თუკი მას რიგგარეშე სხდომის დანიშვნა სურდა, ეს მას შემდეგ უნდა გაეკეთებინა, რაც მასთან უმრავლესობაში შემავალი ფრაქციის თავმჯდომარეები მივიდოდნენ და მსჯელობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებაზე გაიმართებოდა. უსუფაშვილმა სატელეფონო საუბრისას მარგველაშვილს უთხრა, რომ თუკი ის რიგგარეშე სხდომას დეპუტატებთან შეხვედრამდე დანიშნავდა, ამით უხერხული სიტუაცია შეიქმნებოდა. საბოლოო ჯამში, პარლამენტის თავმჯდომარის რჩევა მარგველაშვილმა არ გაითვალისწინა, მაგრამ მან საკუთარი გადაწყვეტილების თაობაზე უსუფაშვილს წინასწარ უთხრა და მოტივად ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის სატელევიზიო განცხადება დაასახელა, სადაც მთავრობის წარმომადგენელმა პრეზიდენტი გააკრიტიკა.

„რიგგარეშე სხდომას დავნიშნავ და ამით სეირს ნოდარ ხადურს ვაჩვენებ, რომელმაც ტელევიზიის საშუალებით გამაკრიტიკა", - განუცხადა უსუფაშვილს მარგველაშვილმა.

პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის სატელეფონო საუბარი ამ ტონალობით დასრულდა, თუმცა, მოგვიანებით, პარლამენტის თავმჯდომარემ განაწყენებულ პოლიტიკოსებს „რჩევა" მისცა — „ვინც ნაწყენია, ცივი წყალი დალიოს!".

„მაცივარში ბევრი წყალი მაქვს და ჩემთან ყველა მხრიდან მობრძანდნენ. პოლიტიკაში მყოფმა ადამიანებმა ნაწყენობაზე, გაბრაზებაზე, გაბუტვაზე და ამ ტიპის კატეგორიებზე აცრა უნდა გაიკეთონ. პოლიტიკოსებს შორის უთანხმოება ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც აპოკალიფსური მოვლენა. კონკრეტულ საკითხში უმრავლესობის წევრთა მოსაზრება პრეზიდენტის მოსაზრებისგან განსხვავებულია, ამ განსხვავებულობის ავ-კარგიანობისა და სისწორის შემფასებელი კი საქართველოს მოსახლეობაა", — განაცხადა სპიკერმა.

პარლამენტის თავმჯდომარე არ ფიქრობს, რომ რიგგარეშე სხდომის დანიშვნით მარგველაშვილი ვინმეს ანკესს წამოეგო, რადგან ის თავისი პასუხისმგებლობით და გადაწყვეტილებებით მოქმედებს.

„ხანდახან, პრეზიდენტიც ცდება, პარლამენტის თავმჯდომარეც, მთავრობის წევრიც და ოპოციაციაც. შეიძლება ასე მოხდეს, მაგრამ ეს ვინმეს ანკესზე წამოგებას არ ნიშნავს", — დასძინა უსუფაშვილმა.

18 მარტის მსგავსად, შესაძლოა, კვორუმის პრობლემა დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზეც შეიქმნას, რადგან უმრავლესობის წევრები ქუთაისში ჩასვლას და ოპოზიციასთან ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობას არ აპირებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტი „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური ხრიკების ქვეშ მოექცა და „უმცირესობის მიერ მოწყობილ შოუში" მონაწილეობას არ მიიღებენ.

**თეონა მანაგაძე**

# რა, სოფლის ორღობეა?!

**პარლამენტის ორი კომიტეტის გაერთიანებული სხდომის დაწყებამდე უმრავლესობისა და უმცირესობის წევრებს შორის შელაპარაკება მოხდა.**

როგორც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემელაძემ სხდომაზე მყოფ პირებს აცნობა, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „საცობში" მოჰყვა, რის გამოც სხდომა რამდენიმე წუთის დაგვიანებით დაიწყება.

ტყემალაძის განცხადება ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა ირმა ნადირაშვილმა გააპროტესტა, რომელმაც ერთგვარი რეპლიკის სახით აღნიშნა, რომ „მინისტრმა ბევრი გააკეთა და ეტყობა ამიტომ აგვიანდება".

ნადირაშვილს უმრავლესობის წევრმა ომარ ნიშნიანიძემ გაჩუმებისკენ მოუწოდა და მას რეპლიკით — „ბებია გიჭყავით" მიმართა. ნიშნიანიძეს კორექტულობისკენ პავლე კუბლაშვილმა მოუწოდა, ხათუნა გოგორიშვილმა კი დამაწყნარებლის დალევა ურჩია.

* * *

**„თავისუფალი დემოკრატების" წევრებმა პარლამენტის ორი კომიტეტის გაერთიანებული სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს.**

კომიტეტის სხდომათა დარბაზიდან გასვლამდე „თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ სიტყვა ითხოვა და უმრავლესობის წევრებსა და მინისტრებს ხვალინდელ რიგგარეშე სხდომაზე დასწრებისკენ მოუწოდა.

„ხედავთ, რამხელა ინტერესია ამ საკითხისადმი. გადატენილია კომიტეტის დარბაზი. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ხვალ გაიმართოს რიგგარეშე სხდომა, რათა შეკითხვებზე, რომელიც არსებობს საზოგადოებაში გაეცეს პასუხი. დღევანდელი კომიტეტის სხდომა მხოლოდ და მხოლოდ ემსახურება ერთ მიზანს, რომ ხვალინდელი სხდომა არ ჩატარდეს და პარლამენტმა დააფიქსიროს თავისი უპატივცემულობა სახელმწიფოს ინსტიტუტების და საზოგადოების მიმართ. კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ დეპუტატებს უმრავლესობიდან და მთავრობის წარმომადგენლებს, კეთილი ინებეთ და ხვალ ჩამობრძანდით ქუთაისში, პარლამენტის შენობაში, სადაც უნდა ვიმსჯელოთ ამ საკითხებზე", — განაცხადა აბაშიძემ.



ამ განცხადების შემდეგ „თავისუფალი დემოკრატების" წევრებმა სხდომათა დარბაზი დატოვეს. ისინი მმართველი გუნდის დეპუტატმა ზაზა პაპუაშვილმა შემდეგი რეპლიკით გააცილა: „კარგი იქნებოდა, ნაციონალური მოძრაობის წევრებიც მოგყოლოდათ".

**სულ რაღაცის მოლოდინში მყოფი ქართველები ახლაც გაფაციცებით ველით ლარის გამყარებას, სამრეწველო თუ სასურსათო საქონლის გაიაფებას, მატერიალურად უზრუნველყოფილ ცხოვრებასთან ერთად ურთიერთპატივისცემას, სიყვარულს, მთავრობისაგან სამართლიანობას, მეტ ყურადღებას და ასე შემდეგ... მოკლედ რომ ვთქვათ, კარგ ცხოვრებას ველით, როგორც მატერიალურად ასევე სულიერადაც.**



# „გაბაზრებული“ ქვეყანა

სამწუხაროდ, იმას კი ვერა ვხვდებით, რომ ლოდინით ჩვენს სურვილებს განხორციელება არ უწერია. მაშ რა უნდა ვქნათო, იკითხავთ. ეჰ, ამ კითხვის განსამარტავად ჩემი ცოდნა რას გამოდგება, მაგრამ მაინც ვიტყვი იმას, რასაც ვფიქრობ: რა და უნდა ვიმოქმედოთ, ვითანამშრომლოთ ერთმანეთთან და ყველა იმ პირთან, ვისაც საქვეყნო საქმის კეთება ხელეწიფება. აი, ასე! მართლაც, რა ადვილია სათქმელად და რა ძნელი, თურმე, საქმნელად. და რატომ ძნელი — ამის ახსნა-განმარტება ნამდვილად არ დამჭირდება ჩვენს მოქალაქეებთან. ან ერთობა სად არის და ან სად არიან თავად“ხელწიფულები“. ისინი, ანუ „ჩინიანნი“, მაგრამ ხალხისთვის სავსებით უჩინონი (გამოუჩენელნი) და დაუნახავნი! სამწუხაროდ, საქმეც მხოლოდ მათ ხელშია და ჩვენი ბედიც, რომელიც ქვეყნის ბედთან მჭიდროდ არის გადაბმული. და სწორედ ეს თითქოსდა უმნიშვნელო რამ — ხალხისა და ქვეყნის ბედის ერთიანობა — არ ესმით და არ იციან. ქვეყანას ვაშენებთო და ის კი დაავიწყდათ, რომ ხალხის გარეშე ქვეყნის აშენება მამლისა და მელიას არაკსა ჰგავს. როგორ შეიძლება ხალხი დაამშიო, დააგლახაკო, დაამცირო და მაინც გაიძახოდე — ქვეყანას ვაშენებო! რომელ და ვის ქვეყანას, ღარიბთა და გლახაკთა უბნებით სავსე ქვეყანას?

უამრავი კითხვა დაგროვილა, უამრავი სატკივარი!...მოდით ლარს დავუბრუნდეთ. მის ღირებულებას გადავხედოთ,ჩვენი ხალხის ბედ-იღბალივით გაუფასურებულს. თუმცა, ლარი ხომ იყო თითქოს მყარი! ამ რამდენიმე წლის წინათ სასურსათო საქონელსაც არ ჰქონდა საშუალო შემოსავლიანი ოჯახისთვის მიუწვდომელი ფასი. მერე ყველაფერი ისე დატრიალდა, რომ ჩვენ — რიგითი მოქალაქეები კი არადა, პრაქტიკოსი ფინანსისტ-ეკონომისტები ჩავარდნენ საგონებელში, ვერ ხსნიან რა ხდება, რატომ აირია ყველაფერი, რატომ აიწია სასურსათო- სამომხმარებლო კალათის ფასი უცებ — სამასი ლარიდან თითქმის ხუთას ლარამდე. ვითომ ბაზარი მოაწესრიგებს ყველაფერსო, კი ბატონო, ველოდოთ, რას იქმს ეს ბაზარი! ჯერჯერობით ერთი რამ კი მან ნამდვილად გააკეთა, სიტყვა „ბაზრის“ გახსენება არცთუ კეთილ ასოციაციებს იწვევს მომხმარებლებში. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი მოქალაქეების უდიდესი ნაწილისთვის მიუწვდომელ ფასებში იყიდება ესა თუ ის სურსათი, ხორცი, თევზეული, რძის პროდუქტი, ხილ-ბოსტნეული თუ სხვა რამ, არამედ, უფრო მეტად იმიტომ თუ როგორ, რა პირობებში იყიდება, როგორია სანიტარულ-ჰიგიენური გარემო და რაც მთავარია, როგორები არიან თვით გამყიდველები. დიახ, ფასებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ საქონლისა და ამა თუ იმ პროდუქტის გამყიდველთა მორალი, ზნეობა კი ნამდვილად „მოაწესრიგა“ დღევანდელმა ბაზარმა. იგი გახადა ერთსახოვანი, ერთგვაროვანი, — ზნეობა უზნეობად აქცია. მყვირალა და უხეში გამყიდველი არც თავისი საქონლის გამოფენით, თავისი „დახლით“ და არც თავისი ქცევებით არ ქმნის მომხმარებლისთვის მიმზიდველ სურათს, მიმზიდველს კი არადა, ჩვეულებრივ, მშვიდ განწყობასაც უკარგავს მომხმარებელს, ამ უკანასკნელს მაშინვე შეურაცხყოფას აყენებს როგორც კი გაუგებს წონაში როგორ მოატყუილეს...

ისე უცნაური რამ ხდება ჩვენს თავს, აბა, ერთი გავიხედოთ, მთელი ქალაქი ბაზრად არის ქცეული, სადგურიდან მოყოლებული, სადაც არ გაიხედავ, ყველგან ბაზარია! თითქმის ათეული წლებია, ასე ვართ და ალბათ, ვერცა ვგრძნობთ თუ როგორ „გაბაზრებულა“ ჩვენი ყოფაც. ბაზარივით უსახო და უზნეოა სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, ბაზრული ვითარება შეიპარა ბიუროკრატიულ დაწესებულებებში, თავად სახელმწიფოს მართვის ეშელონებში. ნამდვილ ბაზარში „ორკაპიკის“ საშოვნელად გამოსულ გამყიდველებზე რა უნდა ვილაპარაკოთ, როცა თავად პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრთა უცნაურმა დამოკიდებულებამ და ურთიერთობამ საგონებელში ჩაგვაგდო. ესენი ხალხის ზნესა და უზნეობაზე რას დაფიქრდებიან, მათ ლხინსა და ჭირს გულთან როგორ მიიტანენ, როდესაც საკუთარი ქმედებები ვერ გაურკვევიათ. ვინ იცის მათთან შიგნით რა ხდება, ქვემოდან მაყურებლისთვის ძნელია ყველაფრის დანახვა და მით უფრო ახსნა, მაგრამ რაც ჩანს, აშკარად მიუთითებს შეუთანხმებლობასა და გაუგებრობაზე.

წარმოიდგინეთ ასეთი ვითარება: პარლამენტმა არ იცის თუ არ სურს, იცოდეს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობანი და — პირიქით. ვაი თუ კარგადაც ესმით ერთმანეთისა და მხოლოდ ჩვენ ვერ გვაგებინებენ? შეიძლება ასეც არის, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. ასეა თუ ისე, ის რაც ხდება ჩვენი ხელისუფლების აპარატში, საპარლამენტო თუ ხელისუფალთა სხდომების დარბაზებში, მერიაში თუ საკრებულოში, საზოგადოებაზე ისეთივე დამთრგუნველ გავლენას ახდენს, როგორც ბაზრობის უხეირო სურათები. ყოველივე ეს კი თავად ბაზრობების მოქმედ პირებს უფრო მეტად უბიძგებს თვითნებობისა და უზნეობისაკენ. აი, ასე მიედინება დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ქვეყანაში, რომელიც არა მხოლოდ ერთი შეხედვით, არამედ თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურებით იმ არცთუ სახარბიელო ბაზარს წააგავს, რომელზედაც ვისაუბრე.

> **ისე უცნაური რამ ხდება ჩვენს თავს, აბა, ერთი გავიხედოთ, მთელი ქალაქი ბაზრად არის ქცეული, სადგურიდან მოყოლებული, სადაც არ გაიხედავ, ყველგან ბაზარია! თითქმის ათეული წლებია, ასე ვართ და ალბათ, ვერცა ვგრძნობთ თუ როგორ „გაბაზრებულა“ ჩვენი ყოფაც.**

მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, მთავრობა ზოგჯერ გვეხმარება კიდეც, თუ რამ დაგჭირდეთ და გაგიჭირდეთ, ცხელ ხაზზე დარეკეთო, ასე გვამუნათებენ, გვასწავლიან სად და როგორ გამოგვისწორებენ „შემთხვევით“ ხარვეზებს. დარეკეთ ბატონებო, შეიტანეთ თქვენს ცხოვრებაში იუმორი, სცადეთ, მაგრამ ამასობაში გრძელდება ჩვენი უხეირო ცხოვრება, ძალმომრეობა და უსამართლობა.

გადავუხვევ ჩემს არჩეულ თემას და გავიხსენებ ამასწინებზე მეხივით რომ გავარდა ცნობა იმის შესახებ თუ როგორ დაიჭირეს იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებული და ვინ არის ეს ბრალდებული, არ იკითხავთ? კრიმინალური პოლიციის მუშაკიო, — გვიცხადებენ. იქნებ მართლაც აღმოაჩინეს დამნაშავე, იქნებ მართლა მიაგნეს ნამდვილ მკვლელს, უნდა გვიხაროდეს, მაგრამ შეიძლება გიხაროდეს, მკვლელი და კრიმინალი, თავად საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი, მოქმედი პოლიციელი რომ აღმოჩნდეს? (თუ უკვე აღმოჩნდა?) მაგრამ ამ თემისთვის ახლა ვისა სცხელა. ხალხი სულ ლარის კურსზეა მიყურადებული, მხოლოდ ამაზეა ახლა საუბარი ხალხში, ოპოზიციაში თუ მთავრობაში, თქვენ უნდა ნახოთ მედია რა ამბავშია. ისეა საქმის ვითარება წარმართული, რომ გეგონება, დღეს, მხოლოდ დღეს ჩამოგვექცა თავზე ცა. ის კი დაავიწყდა ყველას, ამ ხუთიოდე წლის წინათ ხორცის ფასი ხუთი, შვიდი ლარიდან 15 (და მეტიც!) ლარი რომ გახდა. ხოლო ბურღულეულის ფასები გაორმაგდ-გასამმაგდა. უამრავ პროდუქტს ერთბაშად მოემატა მაშინ ფასი, თუმცა, არავის აუტეხია პანიკა და ხალხიც არავის დაუშინებია. ოპოზიციასაც დიდად ხმა არ ამოუღია. თითქოს კი იყო ლარი მყარი, მაგრამ საკითხავია რის და ვის ხარჯზე. დღეს კი საოცარი რამ ხდება. ძველი ამბის გახსენება ახლა ჩვენ რას გვიშველის, ხალხი სავსებით სამართლიანად მოითხოვს თავისი კუთვნილი ლუკმა-პურის მოპოვების საშუალებას... ქვეყანაში დიდი ეკონომიკური გაჭირვებაა. დაბალშემოსავლიანებისა და უმუშევართა კოლონების რიცხვი ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში უცვლელია. და ამ დროს, როგორ წარმოგიდგენიათ, რა ხასიათზე დადგება ხალხი მაძღარი და კმაყოფილი სახის მინისტრებისა და მათ მიერ სტუმრებისათვის ბიუჯეტის ხარჯებით გაშლილი საოცრად უხვი და ბარაქიანი სუფრების დანახვაზე? დიახ, ამაზე ყოჩაღად მუშაობს მედია! რას ვიზამთ, რეალობის ასახვა მათი საქმიანობის საფუძველია.

ოპოზიციის საქმეც, ალბათ, ის არის, ორი წლის წინათ ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას მოსვლის დღიდანვე უუნარო და უცოდინარი ეძახოს, ალბათ, „შეძახილით, ხე გახმაო“ ამ იმედით. თქვენ წარმოიდგინეთ, მგონი გაუმართლდათ კიდეც... ვინ იცის, მთავრობა მართლა უუნაროა თუ არა, ძნელია არაოპოლიტიკოსის თვალით ამის დანახვა, ახლანდელი მთავრობისთვის, როგორი უნარიანიც არ უნდა იყოს იგი, იმ მემკვიდრეობით მიღებული სულ სხვადასხვაგვარი სისტემის სხვა, ახალი და სწორი მიმართულებით შემობრუნება არ არის ადვილი. საქმის კეთება, დალაგება და ორგანიზება დროს მოითხოვს, ხელისუფლების სათავეებში მყოფთა ერთობას, ხალხთან ერთობას და არა ერთის მიერ „აღმა ხნულის“ მეორისაგან „დაბლა ფარცხვას“. რატომ გვეგონა ჩვენ 2012 წელს, როგორც კი მთავრობას შევცვლიდით, მაშინვე დალაგდებოდა ქვეყანა? და, რაც მთავარია, რატომ გვეგონა,რომ ყველაფერს ჩვენს, ანუ ხალხის ჩაურევლად აგვიწყობდა ხუთი, თუნდაც ათი კაცი (ძალიან ბევრი, მთლად ერთ კაცზე იყო მიჩერებული!), მაშინ, როდესაც ათჯერ ათი კაცისაგან შემდგარი, ეგრეთ წოდებულ უნარ-ჩვევებში (თუ პროვოკაციულ ქმედება-განცხადებებში?) კარგად გაწვრთნილ-მომზადებული ჯგუფის წევრები ჯერ კიდევ სხედან ქვეყნის სამართავ სკამებზე და პარლამენტშიც წარმოდგენილნი არიან, როგორც ხალხის რჩეულები? ასეთები ხალხს ჭკუას ურევენ, განაწყობენ მათ თავიანთ სასარგებლოდ. ვინ იტყვის, რომ დღევანდელი მთარობა არ არის გასაკრიტიკებელი, ოპოზიცია მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს, ხალხის სამსახურში ჩააყენოს იგი, არ პატიობდეს არც ერთ შეცდომას. მაგრამ თუ ამავე ოპოზიციას არა აქვს ავტორიტეტი, თუ მისი წარსული არა მხოლოდ სამარცხვინო, არამედ მუქი ჩრდილებით და საკუთარი, უდანაშაულო მოქალაქეთა სისხლითაც კი არის დალაქული, მაშინ?.. აქვთ მათ უფლება სხვათა კრიტიკისა? დიახ, სწორედ აქ არის საიდუმლო პოლიტიკის „გაბაზრებისა“, კრიტიკა კი არადა, ლანძღვა-გინებაზე გადადიან და მართლაც ჰგავს დღევანდელ „ბაზრობას“ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა.

**ყველაფერი რომ თავის ადგილზე დადგეს, ქვეყანა რომ სახელმწიფოს დაემსგავსოს, რა არის, უპირველეს ყოვლისა, ამისთვის საჭირო? ეკონომიკაო! — ასე ამბობებენ ექსპერტები. რომელი და როგორი ეკონომიკა? ჩვენ რომ გვქონდაო! — ამბობენ ყოფილი მთავრობის წარმომადგენლები. არადა, ტელევიზორში გამოსულმა მეწარმე ბიზნესმენთა მთელმა ჯგუფმა ერთხმად ამცნო ხალხს, წინა მთავრობა თუ როგორ ავსებდა თურმე ბიუჯეტს მათგან წართმეული ქონების ხარჯზე. რა ვქნათ, არ დავუჯეროთ საკუთარ თვალებსა და ყურებს, არ დავიჯეროთ, რომ ბაზარი კი არადა, პოლიტიკაც კი „გაბაზრებულა“ ჩვენს ქვეყანაში?**

**გულნარა სტურუა**

**ალიან-ჩალიანი**

## არასრულწლოვნებს სასჯელის მოხდის შემდეგ ნასამართლეობა გაქარწყლებულად ჩაეთვლებათ

**საქართველოს მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე „არასრულწლოვანთა მართმსაჯულების კოდექსი“ დაამტკიცა. როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, ეს არის ძალიან დიდი სამართლებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი, რომლის ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს ეყოლება სპეციალიზებული მოსამართლეები, პოლიციელები, პროკურორები და სოციალური მუშაკები.**

**„აგრეთვე, იურიდიული დახმარების ბიუროში შეიქმნება ადვოკატების მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც ბავშვთა საქმეებზე იმუშავებს. ამ კოდექსით ასევე შემოდის ისეთი სამართლებრივი თანამედროვე ტერმინები და ცნებები, როგორებიც არის უკიდურესი ზომის სახით პატიმრობა 14-18 წლამდე ასაკის ბავშვების, აგრეთვე ინდივიდუალური მიდგომა არასრულწლოვნისადმი, რათა მისი მომავალი ბედი იყოს სისხლის სამართლის პროცესში განმსაზღვრელი და სახელმწიფომ იზრუნოს იმაზე, რომ ვინც ჩაიდენს დანაშაულს, რეციდივისტად არ ჩამოყალიბდეს. აგრეთვე განისაზღვრება ბრალდებულებად ყოფნის ვადა: თუ დიდებისთვის არის 9-თვიანი ვადა, არასრულწლოვნებისთვის იქნება 6 თვე. თუ სრულწლოვნებისთვის წინასასამართლო სხდომამდე არის 60 დღე, არასრულწლოვნებისთვის იქნება 40 დღე. გარდა ამისა, აიკრძალება არასრულწლოვნისთვის სასჯელი უვადო პატიმრობის სახით“, — აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.**

**იუსტიციის მინისტრის ინფორმაციით, აღნიშნული კოდექსით სიახლე იქნება ისიც, რომ არასრულწლოვნებს სასჯელის მოხდის შემდეგ ის გაქარწყლებულად ჩაეთვლებათ.**



## დავით ნარმანიამ დედაქალაქის მთავრობის ახალი წევრები წარადგინა

**თბილისის** ვიცემერად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის უკვე ყოფილი პირველი მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი, ხოლო მერის მოადგილედ ექსპერტი ირაკლი ლექვინაძე დაინიშნენ. მათ ამ თანამდებობაზე ალექსანდრე მარგიშვილი და ალუდა გოგლიჩიძე შეცვალეს.

თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსად ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ყოფილი უფროსი პაატა ჯაჭვლიანი დაინიშნა.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ახალი უფროსი კი გიორგი გურგენიძე იქნება.

ირაკლი ლექვინაძე თბილისის მერიაში ტრანსპორტის, ეკოლოგიის, სპორტის, ახალგაზრდობისა და განათლების მიმართულებებს ჩაიბარებს.

## 449 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართობი საკუთრებაში გადაეცემა

**დევნილთა** სამინისტროს ინფორმაციით, დევნილებს ფართები საკუთრებაში გადაეცემათ შემდეგ ობიექტებში: თბილისი — 191 დევნილი ოჯახი, წყალტუბო — 179 დევნილი ოჯახი, სენაკი — 30 დევნილი ოჯახი, მარტვილი — 12 დევნილი ოჯახი, აბაშა — 19 დევნილი ოჯახი, ზუგდიდი — 15 დევნილი ოჯახი და ბათუმი — 3 დევნილი ოჯახი.



უწყების განმარტებით, დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა „იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

## ვისთვის არის საქართველო მხოლოდ სახინკლე

**მსახიობი მიშა გომიაშვილი ჯავშანმანქანა „დიდგორის“ დიზაინერის ზვიად ციკოლიას განცხადებას ეხმაურება, რომელიც მიხედვითაც, საქართველოს, რომელსაც მხოლოდ ხინკალი აქვს, არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია, რომ წილხვედრი ქვეყანა ერქვას.** გომიაშვილი ამ განცხადების გამო გაოგნებულია და ციკოლიას მიმართავს, რომ ხელოვანი ხალხის ოჯახში აღზრდილმა ადამიანმა ისტორია, წესით, კარგად უნდა იცოდეს. ამის შესახებ გომიაშვილი საკუთარ „facebook“ — გვერდზე წერს.

**„სიმართლე გითხრათ, გაოგნებული ვარ... თქვენ დიდებული ადამიანების ოჯახში დაიბადეთ და გაიზარდეთ, ხელოვანი ხალხის ოჯახში, სკოლაც, მგონი, საქართველოში დაამთავრეთ, თქვენ სულ რაღაც ათი წლით ხართ ჩემზე ახალგაზრდა, მაშინ საქართველოს ისტორიას კარგად გვასწავლიდნენ სკოლაში... არ იწყება საქართველოს ისტორია 2003 წლიდან... სვეტიცხოველი ვინ და სად ააგო?... ან „ვეფხისტყაოსანი“ ვინ დაწერა? ან თამარი არ ჰყავდა საქართველოს? ან დავითი? მიქელანჯელოს რომ ახსენებთ, დამიანე არ გახსენდებათ? იყო ასეთი ფერმწერი, XIV საუკუნის ქართველი მხატვარი, ვინც უბისის ეკლესია მოხატა... არც ფიროსმანი იყო ამქვეყნად? არც გუდიაშვილი? მსგავსი ბუმბერაზი მხატვრების სია ძალიან დიდი გამომივა... პავაროტიო, — ბრძანებთ, რა ვუყოთ პაატა ბურჭულაძეს? და მთელ ქართველ ქალბატონებს, ოპერის მომღერლებს ვგულისხმობ, რომლებმაც დაიპყრეს მსოფლიო საოპერო სცენები; ფელინი ქართულ კინოზე რა აზრისაც იყო, თავად მოგეხსენებათ. მგონია, მარტო ოთარ იოსელიანი უკვე საკმარისია, რომ არ ვახსენოთ სხვა დიდი რეჟისორები, მაგალითად, მიხეილ კალატოზიშვილი, იმედია, გაგიგიათ... კიდევ რომელ სფეროში გნებავთ? არ არსებობს თურმე ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი?**

**რატომ ვართ წილხვედრი ქვეყანაო, ბრძანებთ... „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს: „და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რა ჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლად წმიდასა ღმრთის მშობელსა წილად ხვდა მოქცევად ქვეყანა საქართველოისა“ („ქართლის ცხოვრება“, რედაქტორ-გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი, I, გვ. 37).**

**ბატონო ზვიად, სხვა ვინ ან რომელი ქვეყანა იტყვის, წილხვედრი ქვეყანა ვართო, ეს მათი ნებაა, უნდათ თქვან, უნდათ არა, ღმერთმა კარგად ამყოფოთ...**

**გეთანხმებით, „ლამბორჯინი“, „ბუგატი“ და „ფერარიც“ დიდებული მანქანებია... მაგრამ ეჭვი მეპარება, რომელიმე იტალიელმა თავისი ქვეყანა სპაგეტის შეადაროს... და თუ თქვენთვის საქართველო მხოლოდ სახინკლეა... ძალიან გული მწყდება, მეტსაც გეტყვით, შეურაცხყოფილი ვარ...“** — წერს გომიაშვილი.



## აჭარის დელეგაცია ეგვიპტეს ეწვია

**ეგვიპტეში** საქართველოს საელჩოს ორგანიზებით შარმ ელ-შეიხში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ვიზიტი გაიმართა.

დელეგაციაში იყვნენ ბათუმის მერი გიორგი ერმაკოვი, მისი მოადგილე ალექსანდრე მითაიშვილი და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაურ ფუტკარაძე.

მათივე ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში აჭარის დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს სამხრეთ სინას გუბერნატორთან და შარმ ელ-შეიხის ხელმძღვანელობასთან. სიტყვით გამოსვლისას მან ისაუბრა შარმ ელ-შეიხისა და ბათუმის, ასევე საქართველო-ეგვიპტის თანამშრომლობასა და მის მნიშვნელობაზე. მოწვეულ სტუმრებს შორის ასევე იყვნენ ეგვიპტის ბიზნეს-წრეების წარმომადგენლები. ქართულმა მხარემ სტუმრებს წარუდგინა ბათუმის პრეზენტაცია და გააცნო აჭარის საინვესტიციო შესაძლებლობები. თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მიზნით ბათუმში ეგვიპტელი ბიზნესების ვიზიტიც დაიგეგმა.

შეხვედრებზე ტურიზმისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის პარალელურად განხილული იქნა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის, სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის განვითარება. მხარეებმა გაცვალეს ინფორმაციები საქართველოსა და ეგვიპტეში წარმოებული სოფლის მეურნეო-



ბის პროდუქციის შესახებ. ეგვიპტის მხარე ქართული ჩაისა და ხორცის იმპორტით დაინტერესდა.

შარმ ელ-შეიხში მცენარეების საერთაშორისო პარკის მშენებლობა იგეგმება, სადაც თავმოყრილი იქნება სხვადასხვა ქვეყნის მცენარეები. მხარეები პარკში ქართული კუთხის მოწყობაზეც შეთანხმდნენ. გარდა ამისა, ბათუმში მოეწყობა ეგვიპტური მცენარეების კუთხე. საცდელ ეტაპზე, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში დაინერგება სამხრეთ სინას მცენარეები.

## რა ბიზნესს ფლობენ ბათუმის საკრებულოს დეპუტატები?

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“** ბათუმის საკრებულოს დეპუტატების ბიზნესსაქმიანობის შესახებ კვლევა ჩაატარა. არასამთავრობო ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ საკრებულოს წევრები, რომლებიც თანამდებობებს იკავებენ, დღემდე ფლობენ წილებს და მართავენ ბიზნესკომპანიებს. არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევის ინფორმაციით, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე („ქართული ოცნება“) ირაკლი ჭეიშვილი, რეესტრის ამონაწერის თანახმად, ამ დრომდე არის შპს „ეიჩ ენდ ემის“ დირექტორი და 50%იანი წილის მფლობელი. კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელი არის საკრებულოს კიდევ ერთი წევრი — ლევან კინწურაშვილი. საკრებულოს თავმჯდომარეს 2014 წლის 15 სექტემბერს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში წილის ფლობისა და დირექტორობის შესახებ მითითებული არ აქვს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ინფორმაციით ჭეიშვილს ბიოგრაფიული მონაცემები არ აქვს გამოქვეყნებული საკრებულოს ვებგვერდზე, რაც მოქალაქეებს საშუალებას არ აძლევს იცოდეს, შეესაბამება თუ არა თანამდებობის პირი მის მიერ დაკავებულ პოზიციას.

კვლევის მიხედვით, ბათუმის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე („ქართული ოცნება“) ლევან კინწურაშვილი შპს „ტიფლის დეველოპმენტ აჭარაში“ ამ დრომდე ფლობს 100 %-იან წილს და არის ამავე კომპანიის დირექტორი. ირაკლი ჭეიშვილის მსგავსად ეს ინფორმაცია ქონებრივ დეკლარაციაში არც კინწურაშვილს აქვს შეტანილი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ კვლევის მიხედვით ბათუმის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე („ქართული ოცნება“) თენგიზ აფხაზავა არის შპს „ჯ-ფუნდამენტის“ დირექტორი და შპს ST LOGISTICS-ის დამფუძნებელი და 100%იანი წილის მფლობელი. მას ეს ინფორმაცია, სხვებისგან განსხვავებით, ქონებრივ დეკლარაციაში შეტანილი აქვს. დეკლარაციაში მითითებულია ასევე, რომ მას არც ერთი კომპანიიდან 2013 წელს შემოსავალი არ მიუღია.

ორგანიზაციის კვლევაში ბათუმის საკრებულოს კიდევ ერთი დეპუტატი „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე თამაზ თურმანიძე მოხვდა. კვლევის თანახმად თურმანიძე დღემდე არის შპს „ექსპერტ გრუპის“ დირექტორი და 50%-იანი წილის მფლობელი. ასევე ფლობს შპს 30%იანი წილს „სოლო ჯგუფში“.

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ საკრებულოს სხვა წევრების ბიზნესსაქმიანობაც შეისწავლა, თუმცა, ორგანიზაციის ინფორმაციით, ისინი არ არიან თანამდებობის პირები და არ არღვევენ კანონს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ.

## მიკროავტობუსის მძღოლებს დღიური გეგმური გადასახადი გაეზარდათ

**როგორც** მძღოლები აცხადებენ, შპს „თბილისის მიკროავტობუსმა“ გადასახადის გაზრდის მიზეზად დოლარის კურსის ზრდა და ბენზინის გაიაფება დაასახელა.

მიკროავტობუსის მძღოლების ინფორმაციით, ბოლო 1 წლის განმავლობაში გეგმური გადასახადი 3-ჯერ გაეზარდათ.

„როგორც კი მუშაობა გაუმჯობესდება, გეგმას გვიმატებენ. უარი ვუთხარი დამატებული საფასურის გადახდაზე, მაგრამ, როდესაც ავტოპარკში მივედი, გეგმური მაინც გაძვირებული დამხვდა. არ ვიცი ამ პრობლემასთან დაკავშირებით ვის მივმართო“, — აცხადებს ერთ-ერთი მიკროავტობუსის მძღოლი.

შპს „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელი დავით ასანიძე მძღოლებისთვის გეგმური გადასახადის გაზრდას ადასტურებს.

„როდესაც გეგმური გადასახადი დავუწესეთ მძღოლებს, ნაანგარიშევი გვქონდა, რომ საწვავში იხდიდნენ 2 ლარსა და 10 თეთრს, 30 ლიტრი გამრავლებული 2 ლარსა და 10 თეთრზე არის 63 ლარი. დღეს უკვე საწვავი, რომელიც ჩვენივე ბენზინგასამართ სადგურებზე, ავტოფარეხში 1 ლარი და 59 თეთრი ღირს, რომ გავამრავლოთ 30 ლიტრზე, 47 ლარი და 70 თეთრია, ამას რომ გამოვაკლოთ 63 ლარი, ვნახავთ, რომ მძღოლებს 15 ლარზე მეტი გამოსდით ეკონომია. ამ 15 ლარიდან, ვეუბნებით, რომ 12 ლარი სიკეთეში მოგახმაროთ ღმერთმა, თქვენი იყოს, მაგრამ 3 ლარი მოგვეცით, რომ კომპანიამ შეძლოს ბანკის წინაშე გაზრდილი ვალდებულებების შესრულება. რა არის ამაში ცუდი და რა არის მიუღებელი? დოლარის კურსის ცვლილებით კომპანიას გაცილებით მეტი ზიანი მოგვადგა, ვიდრე ამ 3 ლარს შეუძლია დააკომპენსიროს“, — აცხადებს ასანიძე.

მისივე თქმით, კომპანიას 3 წლის განმავლობაში ბიუჯეტში 28 მილიონი ლარი აქვს შეტანილი.

რაც შეეხება შეკითხვას, საწვავის ფასის კლების გამო, მოხდება თუ არა სამგზავრო ტარიფების დაწევა, „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ფასების კლება არ იგეგმება.



## გაჟეჟილს გატეხილი სჯობს...

# ქვეყანა ხელიდან რომ არ გამოგვეცალოს!

**მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ და აქედან გამოწვეულმა გაუარესებულმა სოციალურმა მდგომარეობამ ხელისუფლების მორიგი ლანძღვა-გინება ზენიტამდე აიყვანა. ზენიტამდე და არა ზენიტში, არადა იქამდე ერთი ნაბიჯია დარჩენილი. მოსახლეობის უკმაყოფილების ფიალა თითქმის ავსებულია და იმ ერთ ნაბიჯსაც გაივლის. გაივლის უდავოდ, თუ ხელისუფლებამ ქმედითი ღონისძიებები არ გაატარა. მაგრამ გაატარებს?**

შეუნიღბავი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ხელისუფლება ამის გამკეთებელი არ არის. თუ რატომ, ამის არაერთი ფაქტორი არსებობს. უპირველესად არაპროფესიონალიზმი, უცოდინრობა, გამოუცდელობა და რაც მთავარია, მასში (ხელისუფლებაში) სამშობლოს ფაქტორის, სამშობლოს გრძნობის არ არსებობა.

სამშობლოს თემა კი ისეთი რამ არის, დალაგებული აზროვნება რომ ესაჭიროება, თანაც განვლილ ცხოვრებაზე დაფუძნებული, გამოცდილებადაგროვილი. საქართველოს ხელისუფალ „გოგო-ბიჭებში" მსგავსი ცნების არარსებობა გასაკვირი არ არის. მაგრამ გიკვირს ხელისუფლებაში მყოფი, თინეიჯერულ ასაკგადალახულ მოხელეთა დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნისადმი – ზერელე, ზედაპირული, რაც იმის მანიშნებელია, რომ ასაკით კი გასცდნენ თინეიჯერობას, მაგრამ აზროვნებით ისევ იქ არიან, იმ უმწიფარ ასაკში.

სერიოზულად არის შეცვლილი საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფალთა აზროვნება უარესობისკენ. და რახან ასეა, მისი მკურნალი ვერც თითზე ჩამოსათვლელი, დაბრძენებული ადამიანების კოლექტიური საპროტესტო წერილები იქნება და ვერც მერაბ ბერძენიშვილის ზეპატრიოტული მიმართვა.

საშუალო და მაღალი ასაკის ადამიანებმა, სააკაშვილის დამთრგუნველი რეჟიმით „ჩარეცხილებმა", სამსახურებიდან და აქტიური ცხოვრებიდან გარიყულებმა, დღევანდელი გულისტკივილით და საპროტესტო მიმართვებით, დიდი-დიდი მათივე ასაკის ადამიანების ყურადღება მიიპყრონ. ვინც ანგარიში უნდა გაუწიოს მათ გულისტკივილს (ანუ ხელისუფლებამ), მისთვის პატრიოტიზმი თითქმის უცხო თემაა. ის რახანია ჩაანაცვლა დასავლურმა ე.წ. ევროპულმა ფასეულობებმა.

საზოგადოებამ ბევრიც იყვირა, მაგრამ ხელისუფლებამ მაინც მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი. რატომ ხდება ეს? ალბათ იმიტომ, რომ თითო-ოროლა პატრიოტული მიმართვა, თანაც ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული, მოკლებულია იმ საყოველთაობას, რაც საჭიროა ხალხის დასარაზმად.

დიდი ერისკაცის მერაბ ბერძენიშვილის წერილი რომ რომელიმე ტელეარხის სამსჯელო თემად ქცეულიყო, სულ სხვაგვარად წარმოჩინდებოდა საქმე.

შუადღის ხანგრძლივი თოქ-შოუებით დაძეძგილი თითქმის ყველა ტელესივრცე უფრო ძვირფასია ფართო საზოგადოებისთვის, ვიდრე მიწის გაყიდვა-არგაყიდვაზე დაწერილი პუბლიცისტური წერილი.

ფართო საზოგადოება მონაა მსგავსი შოუების, უსაგნო ჭორიკანობის, ქუჩაში ყურმოკრული ამბების – ფუქსავატი „ტელეჟურნალისტების" მიერ გაჟღერებულის. გადაცემა – „ჩემი ცოლის დაქალების" პოპულარობა რომ ლამის კონკურენციის გარეშეა – ზედმეტია სერიოზულ თემებზე ლაპარაკი.

პროვინციული ფუქსავატური თოქ-შოუების ფონზე ქვეყანა ხელიდან გვეცლება. ვიცე-პრემიერი და ეკონომიკის მინისტრი იმას რომ იტყვის: **„სამინისტროს შენობას გავყიდით, სხვა შენობებსაც ზედ მივაყოლებთ და 300 მილიონ დოლარს მოვაგროვებთ ბიუჯეტისთვისო",** – გასაგებია რა დონის აზროვნებასთან, სახელმწიფოებრივ მიდგომასთან გვაქვს საქმე.

ნაცვლად იმისა, პირველ ვიცე-პრემიერს ეთქვა – ზედმეტ ხარჯებს შევამცირებთო, მან უკიდურესი ფორმა აირჩია – სამინისტროს შენობის გაყიდვა.

**ეკონომია საჭიროა არა მარტო პერსონალური ავტომანქანების შეძენის დროს, რასაც ჯიუტად არ აკეთებს ხელისუფლება, არამედ თუნდაც პარლამენტში ფერად-ფერადი ქაღალდების შეძენის დროსაც. თეთრ ქაღალდთან შედარებით, ამ ქაღალდების ფასი ორჯერ ძვირია. საინტერესოა, თეთრ ქაღალდზე დაბეჭდილი კანონ-პროექტები ან კანონები, არ იკითხება?**

**ეს დანახარჯი, უდავოდ მიზერულია იმ დანახარჯისა, რასაც ხელისუფლებაში აქვს ადგილი, მაგრამ „მცირედისგან" იწყება დიდი ხარჯვა. საქართველო დღეს ისეთ დღეშია, მისმა მთავრობამ ტროლეიბუსის ზომის „ჯიპებით" კი არა, „კუზიანი „ზაპოროჟეცებით" უნდა იაროს.**

**პარლამენტის ფერადი ქაღალდებიდან დაწყებული, სხვა მსუყე და გაუმართლებელი ხარჯებით დამთავრებული, ქვეყნის ხელისუფლება სხვას ბაძავს – დასავლეთს და იქიდან მოვლენილი ექსპერტ-მასწავლებლების ჭკუასაყოლილი, შეცდომას შეცდომაზე უშვებს.**

არც ერთ უცხოელ ექსპერტს თავში აზრადაც არ მოსვლია ერჩია ჩვენი ხელისუფლებისთვის, რომ საქართველოს გავერანებული ეკონომიკა ვერ აიტანს ისეთ ხარჯებს, რასაც უცხოეთში დიპლომატიური წარმომადგენლობების დაფინანსება ჰქვია. თითქმის ასი მილიონი ლარიდან ლომის წილი სწორედ დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე იხარჯება - საშუალო ზომის საელჩოსთვის ნახევარი მილიონი დოლარი.



საქართველოს აშკარად არ სჭირდება 70-ზე მეტ ქვეყანასა და საერთაშორისო ორგანიზაციაში დიპლომატიური მისიების ყოლა. რა პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები აქვს გაძვალტყავებულ ქვეყანას ინდონეზიასთან, მალაიზიასთან, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან? არის თუ არა ეს სახელმწიფო ფულის დაუფიქრებელი ფლანგვა?

ერთხელ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ბრძანა - „მე ისეთი ქვეყნის პრეზიდენტობა მინდა, რომელსაც საზღვარგარეთის ქვეყნებში ელჩები ეყოლებაო". პრეზიდენტს არც კი უფიქრია, რა საქმით დაკავდება საქართველოს საელჩო მალაიზიაში ან ინდონეზიაში.

**უკრაინა ჩვენთვის ჭკუის სასწავლი უნდა იყოს, მაგრამ იქნება? ვეჭვობ. უკრაინის მოვლენები, რომ იმავე დასავლეთის წყალობით ჩვენთანაც განმეორდეს, სრული შესაძლებელია, ვინაიდან ღრმად გვაქვს შეტოპილი დასავლეთში.**

ყველა ნორმალური ქვეყანა საზღვარგარეთ საელჩოს მაშინ ხსნის, როდესაც იმ ქვეყანასთან მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობები აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში – უსაგნო ფულის ხარჯვაა. სამწუხაროდ, ეს ცუდი ტრადიცია სააკაშვილმა დანერგა, მხოლოდ ერთი მიზნით - მისი მართული „მიშლენდი" მთელი მსოფლიოსთვის ყოფილიყო ცნობილი. როგორც წინა, ისე დღევანდელი ხელისუფლება „ქვეყნობანას" თამაშობს, რასაც დიდი ვნება მოაქვს ბიუჯეტისთვის.

ამას წინათ, ინგა გრიგოლიას თოქ-შოუმ ქოქოლა დააყარა არჩილ ჭყოიძეს – როგორ ბედავ პედერასტების აუგად ხსენებასო. პატრიოტიზმი და პედერასტია რომ სხვადასხვა განზომილებაა, ცხადია, მაგრამ, პირველს, რომ ისე იცავდნენ ტელეეთერში, როგორც მეორეს, საქართველოს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

დიახ! დასავლელმა ექსპერტ-მასწავლებლებმა ბევრი იღონეს იმისთვის, რომ პოლიტიკური საქართველოს ტვინი მიწის გაყიდვამდე მიეყვანა და ჩვენ, „ჩარეცხილებს", გვსურს ერთი წერილით, ერთი მიმართვით შევცვალოთ ვითარება?

ვითარების შესაცვლელად ქუდზე კაცია გამოსასვლელი... მაგრამ არიან კი ასეთები? თითო-ოროლა თუ იქნება. დანარჩენს კარგა ხანია, ხელი აქვს ჩაქნეული, საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების თავხედური ქცევის შედეგად...

საქართველომ გაყიდა ყველაფერი – კიროვის ჩარხმშენებელი ქარხნის უნიკალური დანადგარებიდან დაწყებული, რუსთავის მეტალურგიული ქარხნით დამთავრებული. დარჩა მიწა და იმასაც ვყიდით. ვინ იყიდის? ცხადია, უცხოელი.

ასე და ამრიგად ვიცხოვრებთ ქვეყანაში, სადაც ტროტუარიც კი სხვისი იქნება, რაიმე სახის დაწესებულებაც, მიწაც. ჩვენ, უდიდესი უმრავლესობა, ვინ ვართ, ვინ ვიქნებით? - იმ „სხვის" მიერ დაქირავებული მუშახელი, ოფისის მუშაკი, თანაც იმ „სხვის" მიერ უცხოეთიდან ჩამოყვანილი კოლეგის ხელფასთან შედარებით, მიზერულის მქონე. მაგალითისთვის აჭარაც კმარა. თურქეთის მიერ გახსნილ საწარმოებში მომუშავე თურქთა ხელფასი ლამის ათჯერ მეტია, ვიდრე იქ დასაქმებული აჭარის მოსახლისა!

დასავლური ცხოვრებით მოხიბლული, თინეიჯერული აზროვნების მატარებელი საქართველოს ხელისუფლება, ყველაფერს ღონობს, იქითკენ გასაქცევად. არა სხვისი გამოცდილება, არა სხვა ქვეყნების შემზარავი მაგალითები, არა მიწასთან გასწორებული ყოფა!.. არავითარი – არა! საქართველო ბრუნდება ევროპაშიო, გაჰყვირიან ხელისუფალნი და არც არავინ სვამს კითხვას - როდის ვიყავით იქ, დღეს რომ ვბრუნდებით?

სულ ახლახანს, საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა, ანუ ევროპის ერთ-ერთმა მთავარმა მასპინძელმა ბრძანა -– საფრანგეთი მხარს უჭერს ნატოს გაფართოების პროცესის შეჩერებას და იმ ასპირანტ ქვეყნებს, რომლებსაც გაწევრება სურთ, უარი უნდა ეთქვათო.

ისე, კი კაცმა რომ თქვას, ოლანდის ნათქვამი დაგვიანებულად მეჩვენება. სწორედ საფრანგეთის, გერმანიის, ევროკავშირისა და ნატოს სხვა წევრების მზაკვრული მოქმედების შედეგია უკრაინა. რომ არა ბრიუსელის დაბეჯითებული სურვილი უკრაინაში ანტირუსული პლაცდარმის შექმნისა, დღეს სხვა ვითარება იქნებოდა. დიდი სისხლისღვრა გახდა საჭირო, ევროპას რომ თვალები გაეხილა. მაგრამ ევროპამ პირდაპირი გაგებით რა დაკარგა? დიდი არც არაფერი. დაკარგა უკრაინამ – ათასობით მიწაში ჩაწვენილი ადამიანი, დანგრეული ინფრასტრუქტურა, გავერანებული ეკონომიკა.

უკრაინა ჩვენთვის ჭკუის სასწავლი უნდა იყოს, მაგრამ იქნება? ვეჭვობ. უკრაინის მოვლენები, რომ იმავე დასავლეთის წყალობით ჩვენთანაც განმეორდეს, სრული შესაძლებელია, ვინაიდან ღრმად გვაქვს შეტოპილი დასავლეთში.

უკრაინის აუგად მოხსენიებას ვერც დღევანდელი ხელისუფლება იტანს და ვერც „ნაცური" ოპოზიცია. რატომ? – იმიტომ, რომ ყველაფერს, იმ დასავლეთს უნდა ასე და ჩვენც დამჯერი ბოჩოლებივით ვაკეთებთ ყველაფერს, რაც მას უნდა.

„დაჟეჟილს გატეხილი სჯობსო" – უმჯობესია ევროკავშირმა წერტილი დაუსვას გაწევრების თემას, რომ ისედაც გაბანძებული კავშირი, მთლად არ გააბანძოს. გაცილებით უმჯობესი იქნებოდა ევროკავშირის „ძველი" ევროპის საზღვრებში შენარჩუნება, ვიდრე გაფართოებული ევროპა. „გაფართოებული", აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრობლემებით დამძიმებული, უდავოდ ავტორიტეტდაკარგული, არ უნდა იყოს საოცნებო რამ, მაგრამ ესმის კი ამის „თინეიჯერული" აზროვნების ქართულ პოლიტიკას?

და კიდევ ერთი რამ – საქართველოს დიდი იმედი აქვს ევროკავშირთან სავიზო სისტემის გამარტივების, უვიზო მიმოსვლის, რაც, ჩემი აზრით, კარგს არაფერს მოუტანს ქვეყანას. მკაცრი სავიზო რეჟიმის პირობებში საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მოახერხა უცხოეთში გადახვეწა და უვიზო სისტემის შემთხვევაში, რა იქნება?

და ბოლოს, ის, რაც საქართველოში ხდება ლართან და ეკონომიკასთან დაკავშირებით, ეს პრობლემა მარტო ქართული წარმოშობისა არ არის, მას უცხოური ფესვები აქვს ანუ ამერიკული. ეს ქვეყანა ოც წელიწადზე მეტია, დაბეჯითებით იბრძვის საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მოპოვებული პირველობის შესანარჩუნებლად და ამისთვის ათას ხერხს მიმართავს, მათ შორის, ეკონომიკურ სანქციებსაც.

**აშშ-მა სანქციები დაუწესა რუსეთს და მსგავსი ქმედება აიძულა სხვა ქვეყნებსაც, რამაც გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკური ვითარების მკვეთრი გაუარესება. დაზარალდა ყველა, მათ შორის, მთავარი ადრესატი, მაგრამ მასთან ერთად ის ქვეყნები, რომლებიც სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირში არიან რუსეთთან.**

**დავზარალდით ჩვენც, თუმცა ჩვენი ზარალი არა მარტო მიზერული სავაჭრო ურთიერთობის შედეგია, არამედ რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ სამშობლოში გზავნილების შემცირებისა. გაუარესებული ეკონომიკური პირობები არ იძლევა იმის შანსს, რომ მათ ძველებურად გადმორიცხონ საქართველოში დარჩენილი ოჯახის საარსებო ფული.**

ამერიკამ არა მარტო სანქციები დააწესა, არამედ ნავთობიც გააუფასურა, რამაც დიდი დარტყმა აგემა ნავთობმწარმოებელ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა რუსეთი,ირანი, ვენესუელა და სხვები.

გლობალიზებულ მსოფლიოში, ვაშინგტონიდან მობერილი პოლიტიკური ნიავი, გრიგალივით მოქმედებს მსოფლიოს ქვეყნებზე, რაც კარგად იცის ვაშინგტონმა, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვათა ბედი მას არ აინტერესებს. არადა, პირველობის მოტრფიალეს გაცილებით დიდი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს დანარჩენი მსოფლიოს მიმართ.

**ჟანდარმური, გამორჩენის მსგავსი მიდგომა სახელს უფუჭებს ამ სუპერსახელმწიფოს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქის თვალში, თუმცა, არიან გამონაკლისები – ბალტიისპირა ქვეყნებისა და პოლონეთ-უკრაინა-საქართველო-მოლდოვას სახით. არადა, ალბათ უფრო წელგამართული, სუვერენული იქნებოდა საქართველო ამ ქვეყნების „ბუკეტის" გარეშე!**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.



# ქამარმოშვებული ქვეყნის ქამარშემოჭერილი ხელისუფლება

**არა მგონია, ამ ხელისუფლებას „ქამრების შემოჭერის“ ინიციატივა, რომელიც ახლახან წამოიწყო, ოცდამეერთე საუკუნის დიდ ნოვაციად ჩაეთვალოს. ყველას კარგად გვახსოვს, თავის დროზე ამავე გზით ნაცებიც აპირებდნენ ქვეყნის დაქცეული ეკონომიკის აყვავებას, მაგრამ შარახვეტია სააკაშვილის მფრინავი ილუზიებისა თუ ბენდუქიძის არასტანდარტული მუცლის (ქამარი ვერ შემოწვდა) წყალობით, ეს პროგრამაც, ისევე როგორც ბევრი სხვა ზღაპარი, წყალგაღმა დარჩათ. არავითარი სურვილი არა მაქვს, ახლაც იგივე განმეორდეს, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, მეოცნებე ხელისუფალნი როგორი ენთუზიაზმითა და პროფესიონალიზმით გაუძღვებიან დაწყებულ სასიკეთო საქმეს.**

ზოგს შეიძლება ამ იუმორნარევ სიმართლეზე კიდევაც გაეღიმოს, მაგრამ სახუმროდ და სამასხარაოდ ნამდვილად არა გვაქვს საქმე, მით უფრო ბოლო პერიოდში, როცა ეროვნული ვალუტის დევალვაციამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია და ბაზრის ცალკეულ სეგმენტებში ფასების საგრძნობი ზრდა გამოიწვია. რა თქმა უნდა, ასეთ დროს მთავრობა ვერ იქნება გულხელდაკრეფილი, მან უკვე გაახმაურა ღონისძიებათა პაკეტი, რომელიც ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ინვესტიციების მაქსიმალურად გაზრდას, მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების პრივატიზებას, ექსპორტისა და ტურისტული ნაკადების ზრდას, უამრავი სხვა შემოსავლის წყაროს მოძიებას ისახავს მიზნად. რაც მთავარია, სახელმწიფო სახსრების უყაირათო ხარჯვას დაედება ზღვარი. პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა თავად მინისტრთა კაბინეტის წევრებსაც მოუწოდა, ანგარიში გაუწიონ ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, ქამრები შემოიჭირონ და ამით შეუმსუბუქონ მდგომარეობა საინფარქტოდ გამზადებულ ეკონომიკას.

მართალია, სავალუტო კრიზისის დასაძლევად მთავრობას გაწერილი გეგმა არ გააჩნია, მაგრამ ქვეყნის პირველმა ფინანსისტმა ნოდარ ხადურმა მთავრობის სხდომაზე წარმოადგინა ანტიკრიზისული წინადადებები: **ჩინოვნიკებმა ამ გაჭირვების ჟამს მაინც ხელი უნდა აიღონ ახალ-ახალი მანქანებისა და ავეჯის შეძენაზე, შეამცირონ საწვავის ხარჯი, მივლინებები, წარმომადგენლობითი ხარჯები. მაგრამ ამის გაკეთება ხომ ადრევე შეიძლებოდა? — იკითხავთ თქვენ. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ ვიდრე ეკონომიკამ ფეხების გაფშლიკვა არ დაიწყო, ამას რატომღაც ვერ მიხვდნენ(!).**

არადა, ვითომ დიდი მიხვედრა უნდოდა, რომ მარტო ავტომანქანებში 147 მილიონის დახარჯვა ისეთი უსუსური ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მთავრობის მხრიდან უყაირათობისა და დოყლაპიობის ტოლფასია? ან თავად პირველი ფინანსისტი რას ფიქრობდა, როცა მისმა უწყებამ მარტო ერთი ვიზიტის ორგანიზებისთვის 60-ზე მეტი ავტომანქანა შეიძინა? მინისტრებმა და მათმა მოადგილეებმა, რომლებიც პრემია-დანამატების სახით გაორმაგებულ შემოსავალს იღებდნენ, განა არ იცოდნენ, ბიუჯეტს და ხალხს რა ზიანს აყენებდნენ? ან კიდევ, მარტო სარესტორნო და სასტუმრო მომსახურებაზე 20 მილიონს რომ ანიავებდნენ, ვითომ მომჭირნეობაში ჩაეთვლებოდათ?!

ღარიბი ქვეყნის ჩინოვნიკთა ასეთ ხელგაშლილობაზე ალაპარაკდა არასამთავრობო ორგანიზაცია **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“, რომლის კვლევის თანახმად 2013-2014 წლებში, გამარტივებული შესყიდვების გზით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველა სახელმწიფო უწყების სასტუმრო მომსახურებაზე დაახლოებით 10.6 მილიონი ლარი, ხოლო სარესტორნო მომსახურებაზე დაახლოებით 9.7 მილიონი ლარი დაიხარჯა.**

შეიძლება შემოგვედავონ, ჩინოვნიკებს ხშირად უწევთ მივლინებით უცხოეთის ქვეყნებში ყოფნა, ასევე, უცხოელი სტუმრებისთვის საქართველოში დახვედრა, რაშიც, ბუნებრივია, საბიუჯეტო სახსრები იხარჯებაო. რა თქმა უნდა, ჩვენი სახელმწიფო მოღვაწენი ასეთ დროს ვერ იწუწურაქებენ და ცხვირზე მურს ვერ ჩამოისმევენ, მაგრამ არასამთავრობოები ამათ იმაში ადანაშაულებენ, რომ ხსენებული მომსახურების შესყიდვები უმეტეს წილად ხორციელდებოლდა გამარტივებული გზით, ანუ პირდაპირ კონკრეტულ პირთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე, რაც 2-3-ჯერ აღემატება ტენდერის გზით შესყიდვის ხარჯებს.

ჰოდა, **ამ კაიდედმამიშვილებმა თუ იცოდნენ, თავიანთი „გამარტივებული“ ქმედებით რა ზიანს აყენებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტსა და შესაბამისად, გაღატაკებულ მოსახლეობას, არ ერჩივნათ, ცოტა განძრეულიყვნენ და მომსახურება ტენდერების მეშვეობით მიეღოთ? არა, ეს რომ გაეკეთებინათ, თურმე გვარიშვილობა წაუხდებოდათ!**

სავარაუდოა, რომ ქართველი ჩინოვნიკები ამის შემდეგ მაინც აღარ მოიქცევიან ქარაფშუტულად, ტვინს უფრო მეტად გაანძრევენ და ქამრებს მართლაც შემოიჭერენ, თუმცა, მარტო ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და „ქამრების შემოჭერა“ კრიზისის დასაძლევად, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იქნება. გასაგებია, რომ სავალუტო კრიზისის გაღვივებაში დიდი როლი ითამაშა საგარეო ფაქტორებმა, მაგრამ, როგორც ეკონომიკის ექსპერტები ასკვნიან, პრობლემები თვით ქვეყნის შიგნითაც უნდა ვეძებოთ და გავაუვნებელვყოთ.

რა პრობლემებზეა საუბარი? მთავრობა კი აცხადებს, რომ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ქვეყანაში ხელსაყრელი პირობებია შექმნილი, მაგრამ, ალბათ, არ გვაწყენდა თუ ამ კუთხით ერთხელ კიდევ გადავხედავდით კანონმდებლობას, რათა მაქსიმალურად მასტიმულირებელი მექანიზმები გვქონდეს. **რაც ყველაზე მთავარია, ქვეყანაში უნდა განვითარდეს წარმოება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. საამისოდ საქართველოში რესურსები უამრავია, რასაც ხელისუფლება დღემდე ვერ იყენებს. აი, ვალის აღებას კი გეგმავს, რაზეც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია არ დაეთანხმა.** მისი განცხადებით, ამ ეტაპზე დონორებისგან ფულის სესხებაზე საუბარი ნაადრევია, რადგან დასაძლევია ქვეყნის შიგნით არსებული ფუნდამენტური პრობლემები.

რა თქმა უნდა, მთავრობას ვალის აღებას ვერავინ აუკრძალავს, მაგრამ ეს ნაბიჯი იმ შემთხვევაში უნდა გადაიდგას, თუ ეს ფული მიზნობრივად, კერძოდ, ეროვნული წარმოების ზრდისთვის იქნება გამოყენებული. არ უნდა დაივიწყოთ ნაცბანდის მმართველობის წლებში „დაგროვილი გამოცდილება“, როცა ისინი მილიარდობით დოლარის ვალებს იღებდნენ, მაგრამ ამას იყენებდნენ არა ეკონომიკის განსავითარებლად, არამედ პირადი ამბიციური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. **ბევრ ექსპერტს არასწორად მიაჩნია დღევანდელი მთავრობის პოზიცია, როცა ის სესხის აღებას ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით აპირებს. ინფრასტრუქტურის გარდა, მათი აზრით, სესხი უნდა გამოვიყენოთ, პირველ რიგში, რეალური წარმოების ზრდისთვის. არ იყო სწორი, როცა წლების მანძილზე ვიღებდით მილიარდიან სესხებს და მას არასდროს ვიყენებდით რეალურ სექტორში, სადაც რეალური დოვლათი იქმნება და დასაქმების დიდი რეზერვებია.**

აქვე, ალბათ, გვერდს ვერ ავუვლით სავალუტო ფონდის რეკომენდაციას გადასახადების გაზრდის თაობაზე. რამაც სპეციალისტებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს **ავთანდილ სილაგაძეს,** მაგალითად, მიაჩნია, რომ გადასახადების ზრდა დღევანდელ ვითარებაში გაუმართლებელია. **„პირიქით, ამბობს ის, მეწარმეები და ბიზნესი გადასახადების ზრდით კი არ უნდა შევავიწროვოთ, არამედ კიდევ მეტი ლიბერალიზაციისკენ უნდა წავიდეთ. რაკი სავალუტო ფონდმა დაგვიტოვა რეკომენდაციები, ამიტომ არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს, ფაქტობრივად, ანტიკრიზისული გეგმაა. მთავრობას შეუძლია უფრო დეტალურად გაწეროს ყველა ნაბიჯი, რაც კრიზისის დასაძლევად უნდა გადაიდგას და სამთავრობო ანტიკრიზისული გეგმა ჩამოაყალიბოს. ამასთან, ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა გააკეთოს“.**

მაგრამ ასეთი გეგმა დღემდე რომ არავის უნახავს? პრეზიდენტ მარგველაშვილთან შეხვედრისას მთავრობის ეკონომიკური გუნდი შეთანხმდა, რომ მთავრობის სავალუტო სტაბილურობის გეგმას 5 მარტამდე წარმოადგენდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, დანაპირები დაავიწყდათ. ეტყობა, ამიტომაც გადაწყვიტეს ხელისუფლებასთან გაუთავებლად მოძიძგილე ნაცებმა ამჯერად უკვე მეორედ პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევა და იქ მათთვის ჩვეული სცენარის მიხედვით, უნიათო და უტვინო მთავრობისთვის (მათი საყვარელი ეპითეტებია) სავალუტო შოუს მოწყობა, მაგრამ საცირკო ნომერი ორივე შემთხვევაში ჩაუვარდათ.

**მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ მუშაობა დაასრულა და მთავრობას კრიზისის დასაძლევად რეკომენდაციები მისცა, ლარმა კვლავ ვარდნა დაიწყო და ოფიციალური გაცვლითი კურსი 2,18 ლარის ნიშნულზეა. თუმცა, სავალუტო ჯიხურებსა და კომერციულ ბანკებში დოლარი კიდევ უფრო ძვირი ღირს, რადგან მოთხოვნა ამერიკულ ვალუტაზე კვლავ მაღალია. რას აპირებს მთავრობა, დღემდე უცნობია, ისევე როგორც მისი სამომავლო გეგმა, რომელმაც ქვეყანა სავალუტო კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს.**

**ოთარ ხუციშვილი**

## ავეჯზე მოთხოვნა შემცირდა

# „პროდუქცია ბევრი გვაქვს, შემძენის მსურველი კი ცოტაა“

**საქართველოში უამრავი ავეჯის მაღაზიაა, სადაც თავისუფლად შეგიძლიათ, შეიძინოთ ტრადიციული თუ ევროპული ტექნოლოგიით დამზადებული, სხვადასხვა დიზაინის, ზომისა და ფერის ნაკეთობები. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში ამ ბიზნესში უამრავი ადამიანია ჩართული. თუმცა, მათი განცხადებით, ბოლო თვეების განმავლობაში ლარის გაუფასურებამ და ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა ვითარებამ მათი საქმიანობა სერიოზულად შეაფერხა და დააზარალა. განსაკუთრებით მცირე მეწარმეებს გაუჭირდათ. „ზოგადად, ბიზნესს შეექმნა დიდი პრობლემები და გამონაკლისი ამ მხრივ, არც ჩვენ ვართ. მე მაგალითად, მაღაზია სულ დავხურე იმიტომ, რომ შემოსავალი აღარ მქონდა და ოფისის ქირასაც ტყუილად ვიხდიდი. როგორც ვატყობ, ამ ეტაპზე ავეჯის შეძენის სურვილი არავის აქვს იმიტომ, რომ ჩვენს მოსახლეობას სულ სხვა პრობლემები აწუხებს“,** — აღნიშნა ერთ-ერთმა მათგანმა bpn.ge-სთან საუბრისას.

ანა გაბინაშვილს ელიავას ბაზრობაზე პატარა მაღაზია აქვს დაქირავებული და ისიც კლიენტების შემცირების გამო წუხს: **„შეიძლება ითქვას, რომ ამ ბაზრობაზე დასაქმებული მცირე მეწარმეების დიდი ნაწილი უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაშია. მარტო ჩვენს სფეროში კი არ გაუარესდა სიტუაცია, არამედ — ყველგან და ეს ჩვენზეც აისახა. კლიენტურა გვაკლია ისევე, როგორც ნებისმიერ მაღაზიას, რომელიც სურსათითა და პირველადი მოხმარების საგნებით არ ვაჭრობს. ხალხი ავეჯს აღარ ეტანება და ჩვენამდეც არ მოდის“. შემოსავალი მცირე ბიზნესის გარდა, შედარებით მსხვილ მაღაზიებსაც შეუმცირდათ. ამის თაობაზე მაღაზიათა ქსელ „ზოდის“ მარკეტინგის მენეჯერი — ნინო ზავრაშვილი გვესაუბრა: „ჩვენი ფირმა სულ ექვს მაღაზიას აერთიანებს. სამი მათგანი თბილისშია, ხოლო დანარჩენი სამი — გორში, მარნეულსა და რუსთავში. პროდუქციის რეალიზაცია რეგიონებშიც ძალიან შემცირდა და დედაქალაქშიც. იქიდან გამომდინარე, რომ ავეჯს უცხოური ვალუტით, ანუ დოლარით ვყიდულობთ, ლარის კურსის ცვალებადობამ ჩვენს ფასებზეც იქონია გავლენა. ფასები სულ მცირე, 10 პროცენტით გავზარდეთ, პროდუქციის ნაწილი ჩვენს ქსელში საშუალოდ 20-30 ლარით გაძვირდა. მომხმარებელი, რომელსაც პროდუქციის შეძენა უნდა და ჩვენი ძველი ფასები იცის, რა თქმა უნდა, დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამს. ბუნებრივია, ამ და სხვა ფაქტორებმა ჩვენი პროდუქციის რეალიზაციაზეც იქონია სერიოზული გავლენა. თუ ლარის კურსი სტაბილური გახდება, რა თქმა უნდა, ფასები ჩვენს ქსელშიც შემცირდება“.**

ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების თქმით, არა მხოლოდ იმ მეწარმეებს გაუჭირდათ, ვისაც მზა ნაწარმი უცხოეთიდან შემოაქვს და საქართველოში ყიდის, არამედ იმათაც, ვინც ავეჯს აქვე აწარმოებს, რადგან ისინიც, ძირითადად, იმპორტირებულ ნედლეულს იყენებენ: **„ოჯახური ბიზნესი გვაქვს, მასალას ვყიდულობთ და ავეჯს საკუთარი ხელით ვამზადებთ. ეს მასალა უცხოეთიდან არის შემოტანილი და რა თქმა უნდა, მასში დოლარია გადახდილი. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ხელოსნები ძირითადად შემოტანილ პროდუქციას იყენებენ და მერე ყველაფერს მისგან ამზადებენ. რაც დოლარის ფასმა მოიმატა, სამუშაო თითქმის აღარ გვაქვს. ეროვნული ვალუტა უფასურდება და ყველა ცდილობს, ფული არ დახარჯოს, ვიდრე ის სტაბილური არ გახდება, ამიტომ ბიზნესსაც უჭირს, მით უმეტეს, ისეთ მცირე ბიზნესს, როგორიც ჩვენ გვაქვს“,** — აღნიშნავს ჩვენთან საუბრისას მცირე მეწარმე მირიან მწითური. ბოლო თვეებში შეკვეთების კატასტროფულად შემცირებას უჩივის მეწარმე მალხაზ ნიკურაძეც, რომლის თქმითაც, უკვე ერთი თვეა, შეკვეთა აღარ მიუღიათ.

**„თითქმის ყველაფერს ვამზადებთ — იქნება ეს საოფისე თუ საოჯახო ავეჯი — სამზარეულო, კომოდი, თუ კომპიუტერის მაგიდა... ბოლო თვეებში შეკვეთები მართლაც კატასტროფულად შეგვიმცირდა. თუმცა ამას მხოლოდ ეკონომიკურ სიტუაციას ვერ დავაბრალებ, რადგან ბოლო წლებში ამ საქმით დაკავებული ხელოსნების რაოდენობა ძალიან გაიზარდა. ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ კი საქმე უფრო გაგვირთულა. ვინც ავეჯს აქვე, საქართველოში ამზადებს, ყველას ერთნაირი სიტუაცია აქვს იმიტომ, რომ უმეტესობა იმპორტირებულ საქონელს იყენებს“,** — აცხადებს მალხაზ ნიკურაძე.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

ნავთობის ბაზარი

# მსოფლიოს ნავთობმბრძანებლები: ერთი მოვლენის ორი მხარე

**ნედლ ნავთობსა და, შესაბამისად, ნავთობპროდუქტებზე, აგრეთვე სხვა ენერგოშემცველებზე ფასების ბოლოდროინდელ ვარდნას, მსოფლიოს უკლებლივ ყველა რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაზე უდიდესი გავლენა აქვს.**

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტები 2020 წლამდე მსოფლიოს ბაზარზე ნავთობის უდიდეს მწარმოებლად აფასებენ, სამომხმარებლო ფასების ინდექსი ბოლო ხუთი წლის მანძილზე მინიმალური მაჩვენებლის დონემდე შემცირდა. ამის მიზეზი გასაგებიცაა: **ენერგოშემცველების ფასის შემცირებას სხვა საქონელზე ფასის კლება მოჰყვება.** ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მიჩიგანის უნივერსიტეტის ექსპერტთა ერთ-ერთ ბოლო ყოველთვიური გამოკვლევის შედეგები, რომელიც მოსახლეობის საკუთარი ფინანსური მდგომარეობის აღქმას ეხება. აღმოჩნდა, რომ ბოლო 11 წლის მანძილზე მომხმარებელთა განწყობის ინდექსმა თებერვალში 7 პროცენტით შემცირდა.

ეკონომიკური განვითარების კარგ ტემპს ინარჩუნებს დიდი ბრიტანეთი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპითაა განპირობებული. ამასთან, ევროზონაში მიმდინარე პროცესები და ქვეყანაში გირვანქა სტერლინგის ინფლაციის დაბალი დონე ეკონომიკური განვითარების ტემპის აჩქარებას ხელს არ უწყობს.

იმის მიუხედავად, რომ აზიის ერთ-ერთი უმძლავრესი ეკონომიკის მქონე იაპონია რეცესიიდან გამოვიდა, ეკონომიკური ზრდის ტემპი, წინასწარ დაგეგმილთან შედარებით, მაინც შენელებულია. ბოლო ორი წლის მანძილზე ქვეყანაში განხორციელებულმა რეფორმებმა, მათ შორის, ფულის მასის ზრდამ, ეროვნული ეკონომიკის წარმოების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის უძრავი ქონების სეგმენტში, საგრძნობი გამოცოცხლება გამოიწვია, რაც იენის დასუსტებისა და ექსპორტის წახალისების ხარჯზე მოხდა.

**ამდენად, იმაზე ლაპარაკი, რომ ლარის გაუფასურება დოლარის მიმართ, უფრო ნაკლებია, ვიდრე იენისა, საქართველოს ეროვნული ეკონომიკისთვის ბევრი ვერაფერი შეღავათია. ამ მხრივ, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო ქმედითი ნაბიჯი ეროვნული ზრდის ინდიკატორული 5-პროცენტიანი მაჩვენებლის მომავალი ორნახევარჯერ, 2 პროცენტამდე შემცირებაა, რომელიც ამას წინათ მინისტრმა ნოდარ ხადურმა დააანონსა.**

ნედლ ნავთობზე ფასის უპრეცედენტო ვარდნის რამდენიმე შედეგზე ამახვილებენ ყურადღებას მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკური გამოცემები და ექსპერტები. მათ შორის, ერთ-ერთი პირველთაგანია, **რუბლის კატასტროფული ვარდნის ფონზე რუსეთის მიერ უკვე მიღებული და მომავალში გარდუვალი ზარალი; გარდა ამისა, ნავთობსა და მის წარმოებულებზე ფასების კლებამ უკვე ასახვა დაიწყო მსოფლიოს ეკონომიკის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგზე, როგორიცაა ავიაბიზნესი. ცნობილია, რომ ავიაგადაზიდვებში ხარჯის მესამედი საწვავის წილად მოდის. ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიოში ამ დარგის კომპანიები მთლიანად 25-მილიარდიან მოგებას ელიან; ბუნებრივია, რომ სამანქანო ბენზინისა და სხვა სახეობის საწვავის გაიაფება ავტოგადაზიდვების ღირებულებასა და, შესაბამისად, მრავალი სახეობის პროდუქციის გაიაფებას გამოიწვევს; ნავთობის გაიაფებამ, რომლის ფასის მატებას ბარელში 600 დოლარზე მეტად უახლოეს მომავალში არავინ არ ვარაუდობს, გარკვეულ დადებითთან ერთად ზოგიერთი უარყოფითი შედეგიც გამოიღო. მათ შორის, თავად ენერგოშემცველთა ძებნა-ძიებასთან, მოპოვებასთან დაკავშირებული ძვირადღირებული პროექტების დახურვა გამოიწვია, რომელთა შორის, პირველ ყოვლისა, მსოფლიო ოკეანის შელფურ რაიონებსა და არქტიკაში განსახორციელებელი გეგმებია.**

ამგვარად, მსოფლიოში უდიდეს ნავთობმომპოვებელ ქვეყნების სიას თუ გადავხედავთ, ამჟამად ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში, ტექნოლოგიური ინოვაციების ხარჯზე, ამერიკის შეერთებული შტატებია. ნავთობით მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი **საუდის არაბეთი** ბაზრიდან ამ თვალსაზრისით გაცილებით სუსტი ქვეყნების განდევნას ცდილობს, ამიტომაც ნედლეულის მოპოვების ზრდის, დაბალი ფასით წარმოქმნილ დეფიციტს კი საკუთარი სარეზერვო ფონდის დახმარებით ავსებს. **ირანი,** ზოგიერთ სხვა ნავთობმომპოვებელ ქვეყანასთან ერთად, ენერგოშემცველის ფასის მისთვის ხელსაყრელ დონემდე გასაზრდელად, ნედლეულის მოპოვების შემცირების მომხრეა, თუმცა კი, ამის ძველ დონეს კვლავაც ინარჩუნებს. მეტიც: ქვეყნის ხელისუფალთა განცხადებით, ბარელი ნავთობის ფასის 25-დოლარიან ნიშნულზე დასვლის შემთხვევაშიც კი მის ეკონომიკას არანაირი საფრთხე არ შეექმნება.

ყველაზე ცუდად კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნავთობის ფასის კლება **რუსეთისა** და **ვენესუელის** ეკონომიკებზე აისახება, თუმცა, გაცილებით მძიმე მდგომარეობაში, ჯერჯერობით მაინც, პირველი მათგანია, რასაც მნიშვნელოვნად მის მიმართ დასავლეთის ქვეყნების მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები განაპირობებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

უთოვლობის გამო



# ბაკურიანში ზამთრის სეზონი ჩავარდა

**წინა წლებთან შედარებით შეიძლება ითქვას, რომ წელს ბაკურიანში სეზონი ჩავარდა. ამის მთავარ მიზეზად ადგილობრივები უთოვლობას ასახელებენ. ზამთრის სპორტის მოყვარულებისთვის ხელოვნური თოვლის საფარი დააგეს, თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. იმედგაცრუებული ბაკურიანელები იმედს ახლა ზაფხულის სეზონზე ამყარებენ. ბაკურიანში პირველი თოვლი ამ წელს მარტში მოვიდა. შესაბამისად, ამ პერიოდში დამსვენებელთა რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა.** ხალხმრავლობა ძირითადად შაბათ-კვირას შეიმჩნევა, პროფესიონალ თუ მოყვარულ მოთხილამურეებს შორის უცხოელ ტურისტებსაც მოკრავთ თვალს. კვირის დანარჩენ დღეებში კი ბაკურიანში სრული სიმშვიდეა. სასტუმროების უმრავლესობა დამსვენებელთა სიმცირეს უჩივის. ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე სასტუმროებისა თუ კოტეჯების წინ განცხადებებია გამოკრული — ქირავდება!..

**სასტუმროს ფასები 60 ლარიდან 200 დოლარამდე მერყეობს. ბაკურიანში ძირითადად 5-ვარსკვლავიანი სასტუმროებია, რაც ადგილობრივების თქმით, ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომი არ არის. ძვირადღირებულმა სასტუმროებმა, ეკონომიკურმა კრიზისმა და უთოვლობამ საერთო ჯამში, ბაკურიანში ზამთრის სეზონი ჩააგდო. ადგილობრივები უცხოელი ტურისტების სიმცირეს გამკაცრებულ სავიზო რეჟიმსა და უკრაინაში განვითარებულ საომარ მოქმედებებსაც უკავშირებენ. მათი თქმით, ტურისტების ყველაზე მეტი წილი რუსებსა და უკრაინელებზე მოდიოდა, ასევე ყაზახებზე.**

**„წინა წლებში ტურისტი ნამდვილად არ გვაკლდა, პირიქით, სასტუმროს ნომრები წინასწარ იყო დაჯავშნილი და თავისუფალი ადგილები აღარ გვქონდა. დეკემბრის ბოლოდან მარტამდე ბაკურიანი დამსვენებლებით სავსე იყო. წელს ბუნებამაც გვიმტყუნა — თოვლი არ მოვიდა. საახალწლოდ სასტუმროების უმრავლესობა კლიენტის გარეშე დარჩა. პრაქტიკულად, დეკემბრიდან მოყოლებული თებერვლის შუა რიცხვებამდე, სეზონი ჩავარდა. სასტუმროს მეპატრონეებმა კლიენტის მისაზიდად მომსახურების ფასი ლამის გაანახევრეს, მაგრამ სეზონი მაინც ჩავარდა. ახალი წლის დღეებში აზერბაიჯანელები, სომხები ჩამოვიდნენ, მაგრამ როცა ნახეს, თოვლი არ იყო, 2-3 დღეში უკან გაბრუნდნენ. წელს ძალიან ვიზარალეთ,“** — აღნიშნა bpn.ge-სთან საუბარში ბაკურიანის მკვიდრმა ზურაბ ელიაშვილმა.

სეზონით უკმაყოფილო არიან სასტუმროს მეპატრონეებიც. **„შარშან ჩვენს სასტუმროში ერთი დღე-ღამე 200 დოლარი ღირდა, ნომრები წინასწარ დაჯავშნილი იყო, საახალწლოდ ერთი თავისუფალი ნომერიც არ გვქონდა. თუმცა, წელს საპირისპირო სურათი მივიღეთ. ამჟამად ჩვენს სასტუმროში მხოლოდ ორი ნომერია დაკავებული. წარმოგიდგენიათ, როგორ ვიზარალეთ? კლიენტის მოსაზიდად ფასიც კი დავწიეთ და 140 დოლარი გავხადეთ“,** — გვითხრა ერთ-ერთი სასტუმროს მენეჯერმა.

ადგილობრივებთან და სასტუმროს მეპატრონეებთან საუბრის შემდეგ, bpn.ge ტურისტებსაც ესაუბრა. ჩვენთან საუბარში უცხოელი ტურისტები, განსაკუთრებით ისინი, ვინც ბაკურიანს პირველად სტუმრობს, აქაური მთებით, ბუნებით აღტაცებულები არიან. თუმცა, შენიშვნები აქვთ ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. **„თქვენს ქვეყანაში პირველად ვარ. მოხიბლული ვარ თქვენი ბუნებით. აქაურობა მართლა საოცრებაა, მაგრამ ურიგო არ იქნება თუ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე იზრუნებენ. ცენტრალურ ტრასაზე, სადაც მანქანები განუწყვეტლივ მოძრაობენ, ტროტუარი არ არის. პრაქტიკულად, შუა გზაზე დავდივართ. ღამით გარეთ გასვლა პრობლემაა, ქუჩა განათებული არ არის, ლამპიონები არ მუშაობს, განათება მხოლოდ სასტუმროების მიმდებარედ არის, ისიც ყველგან არა. თქვენს კურორტს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ მხოლოდ ბუნება ვერ გიშველით თუ ინფრასტრუქტურა არ მოწესრიგდება“,** — გვითხრა ჩეხმა ტურისტმა.

ანალოგიური პასუხი მივიღეთ ქართველი დამსვენებლებისგანაც: **„ჩემმა შვილებმა მთელი ბავშვობა აქ გაატარეს. ახლა შვილიშვილთან ერთად ვისვენებ. დასანანია, რომ ბაკურიანი ასეთი გაპარტახებულია. თოვლის დნობის პროცესში ცენტრალურ პარკში ვერ შეხვალთ, იქაურობა ატალახებულია. განა რა დიდი თანხაა საჭირო იმისთვის, რომ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა სავალ ნაწილზე ღორღი დაყაროს?“** — გვითხრა ვენერა მიქაძემ.

ადგილობრივთა თქმით, **ზამთრის სეზონი მარტის ბოლომდე გასტანს. ამჟამად, ბაკურიანში თოვლი არ არის, თუმცა, ზამთრის სპორტის მოყვარულებისთვის სათხილამურო ტრასაზე ხელოვნური თოვლია. ამიტომ, ბაკურიანელები შაბათ-კვირას დამსვენებლის მოლოდინში არიან.**

**სალომე გოგოხია**

კაკალ გულში

## ნერვიულოვანი თეზები

● **ვინც ბრაზილიაში მარტო იმიტომ არ მიდიოდით, რომ ვიზას არ გირტყამდნენ, გამოდით, უნდა დაგთვალოთ!**

● **ღარიბაშვილმა გამგებლებს — ადმინისტრაციული ხარჯები შეამცირეთ, მანდ არ მომიყვანოთო!:) დაივიწყეთ პირადი კომფორტი, ოფისების რემონტი, ახალი ავეჯი და ყველაფერი, გარდა ინფრასტრუქტურული პროექტებისა-ვო... ვოოტ, ჯიპიანებო, მოგხვდათ ყურისძირში? ხო კიდე საწვავზე 30% მაუჭითო (ტყემალაძის ბიჭზე ვნერვიულობ).**

● **მოკლედ გალავინსკზე ფეხის გამდგმელი აღარ ვარ, ჩემ კვადრატში(ვოლზე) ვიმოძრავებ მარტო. გადავაწყდები რღაც ლინკს gaixare.ru „სასწრაფოდ! 5 წუთში 15 წლის დაკლება“ შევქანდები და...ჯერ სანამ მივაღწევ „მათუსალას საიდუმლომდე“ — 20 რეპერს, აგნესას და ვიღაცებს მალაიქებინებს (ისე ვერ გაახალგაზრდავდები ჯეროვნადო), მივაღწევ უკვდავების წყარომდე და წერია, ძილის წინ კვნიტეთ 5 ცალი ბრინჯი — ფუშენი! ჯერ დღეში 3 ლიტრი წყალი მასვეს კინაღამ ჩავიფსი,. მერე varianta.net-ზე თუ რაღაცაზე შევვარდი (ვერ გავუძელი ცდუნებას) — „წაისვით შიკოლადი სახეზე და 3 დღეში ვეღარ გიცნობენ“, იმ დღესვე ვეღარ მიცნეს ბავშვებმა, სანამ არ ჩამოვიბანე. მოკლედ დავაით რა.**




● **ვინც ნაწყენია, ცივი წყალი დალიოსო, — ასე უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტის კითხვას და იქვე დალია წყალი ისე, რომ ღმერთსაც არ შეხედა.**

● **ქამრების შემოჭერა კი არა, სულ რომ კორსეტებით იაროთ, მაინც გაუფასურებული ლარია თქვენი ფასი...**

● **თქვენ თვითონ ხართ „ნეპოტიზმები“, თუ კაიაო, განაცხადა ანი მიროტაძის დამ და „ნიჩურტა“ გაიკეთა, ჯიბეში...**

● **ამ თურქული სერიალების იდეა და ამოსავალი წერტილი ქართული, მამაპაპური ანდაზაა: ნაბოზარ დედამთილს რძალი არ გაუბოზდებაო...**

● **ქართველი სექს-მუშაკები აღშფოთებას ვერ ფარავენ, მათ სფეროში მომრავლებული ნეპოტიზმის ფაქტების გამო...**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მატარებელი თბილისისკენ მალე... არ წავა

**საკითხი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ რუსეთსა და საქართველოს შორის აფხაზეთის ტერიტორიის გავლით შორსაა გადაწყვეტისგან ორივე მხარის არაერთგვაროვანი პოზიციის გამო. ასეთი აზრი გამოთქვეს ექსპერტებმა, რომლებიც გამოკითხა ჩვენმა გამოცემამ.**

მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის სამხედრო-პოლიტიკური კვლევების ცენტრის წამყვანმა ექსპერტმა მიხაილ ალექსანდროვმა განაცხადა, რომ აფხაზეთი არ განიცდის განსაკუთრებულ ენთუზიაზმს სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით. „აფხაზებს მიაჩნდათ, რომ ეს მათ არ სჭირდებათ, ზოგიერთი აფხაზი პოლიტიკოსი კი საერთოდ აცხადებს, რომ ეს გზა მათ ხელს უშლის, ვინაიდან გადის საპლაჟო-სანაპირო რაიონებზე და მას დიდი ადგილი უკავია. მათი აზრით, იქ კარგი საკურორტო ზონა შეიძლებოდა მოწყობილიყო, — ამბობს იგი.

ექსპერტის სიტყვებით, აფხაზებს სურთ, ჰქონდეთ საქართველოსთან მხოლოდ მინიმალური ურთიერთობანი. **„ტრანზიტი რესპუბლიკის გავლით მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, სომხეთისთვის. და საერთოდ, შეიძლებოდა მოგვეწყო სატრანსპორტო დერეფანი ირანამდე, მაგრამ აფხაზ პოლიტიკოსებს ეს საკითხი დიდად არ აღელვებდა“**, — განმარტა მან.

ამჟამად ეკონომიკური სირთულეების, რუსეთის მხრიდან ეკონომიკური დახმარების შემცირების ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით, აფხაზეთი დაფიქრდა დამატებითი შემოსავლების შესახებ და ეს შეიძლება დაეხმაროს მას რკინიგზის რეანიმირებაში.



**„მაგრამ აქ არის კიდევ საკითხი საქართველოსთან დაკავშირებით, რომელსაც ორაზროვანი პოზიცია ეკავა. ისინი ხან ლაპარაკობდნენ, რომ მზად არიან, აღადგინონ სარკინიგზო მიმოსვლა (ეს უკვე სააკაშვილის შეცვლის შემდეგ იყო), ხან აყენებდნენ პოლიტიკური ხასიათის დამატებით პირობებს. ამჟამად არ ვიცი, რა პოზიცია აქვთ მათ. ჯერჯერობით ქართველებმა ამ საკითხში აქტიურობა არ გამოიჩინეს, არც ნეგატიური, არც პოზიტიური“**, — გვითხრა ალექსანდროვმა.

ექსპერტის აზრით, **ჯერჯერობით ნაადრევია სიხარული იმასთან დაკავშირებით, აღდგება თუ არა სარკინიგზო მიმოსვლა მოსკოვსა და თბილისს შორის. არის დიდი საფრთხე, რომ ქართველები ამჟამად, როდესაც აფხაზური მხარე უკვე თანხმობას აცხადებს, კვლავ დაიწყებენ რაღაც პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენებას. ერთადერთი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის გადაწყვეტაზე, ეს არის დასავლეთის დახმარების შემცირება საქართველოსთვის. დასავლეთი კვლავ მხარს უჭერს სააკაშვილს, თუმცა, ამჟამინდელი საქართველოს ხელისუფლება მკვეთრად მის წინააღმდეგაა. ასეთ პირობებში შესაძლებელია აზრთა სხვადასხვაობის გაზრდა საქართველოს ხელისუფლებასა და დასავლეთს შორის, განსაკუთრებით უკრაინაში კონფლიქტის ფონზე, რომელმაც აჩვენა, რომ დასავლეთი არ არის მზად, მიმართოს სამხედრო ძალას. და შესაძლებელია, საქართველო წავიდეს იმაზე, რომ მოახდინოს ურთიერთობის ნორმალიზება სარკინიგზო მიმოსვლის თვალსაზრისით. ესე იგი, საქმე ჯერჯერობით დაიძრა, მაგრამ უმნიშვნელოდ“**, — მიაჩნია მას.

**სარკინიგზო მიმოსვლის განახლების თემა სოხუმსა და თბილისს შორის განიხილებოდა წინა დღით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვსა და აფხაზეთიდან მის კოლეგა ვიაჩესლავ ჩიკირბას შორის.**

„აქტუალნიე კომენტარიი“

# ცხინვალი მოსკოვის მოკავშირე არ გახდა

**სამხრეთი ოსეთის რუსეთის ფედერაციასთან მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, რაც დანიშნული იყო 11 მარტისთვის, გადაიდო გაურკვეველი ვადით. კულუარული ინფორმაციით, დოკუმენტი აღმოჩნდა დაუმუშავებელი, იგი საჭიროა მოვიყვანოთ წესრიგში. ასევე სამხრეთი ოსეთის პარლამენტმა ოთხშაბათს დღის წესრიგში შეიტანა საკითხი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის დავით სანაკოევის ნდობის ვოტუმის შესახებ, რომელმაც მოახდინა შეთანხმების პროექტის გამოქვეყნების დამოუკიდებელი ინიცირება ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად.**

დაკავებულ თანამდებობასთან დავით სანაკოევის შესაბამისობის საკითხს სამხრეთი ოსეთის პარლამენტი განიხილავდა 12 მარტს. რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სპიკერმა ასეთი ზომის აუცილებლობა განმარტა იმით, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი გასცდა უფლებამოსილებათა ჩარჩოებს, დაარღვია სუბორდინაცია, სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტსა და პრეზიდენტთან არსებულ პოლიტსაბჭოს წევრებს არ შეატყობინა, ისე გამოაქვეყნა ადგილობრივ პრესაში რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების პროექტი. **„თანაც ეს იყო მხოლოდ სამუშაო დოკუმენტი“**, — დააზუსტა თიბილოვმა.

პარლამენტის სპიკერმა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი გააკრიტიკა არა მხოლოდ ამისთვის, არამედ სუსტი მუშაობისთვის მთლიანად საგარეო პოლიტიკური უწყებისა, რომელიც „არ ღებულობს აუცილებელ პირობებს საერთაშორისო არენაზე რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების გაფართოებისთვის“. თიბილოვის სიტყვებით, არ არის დამყარებული კონტაქტები სათანადო დონეზე დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებთან, არ ხორციელდება ეფექტური კავშირურთიერთობანი იმ ქვეყნებთან, რომლებმაც მისი სუვერენიტეტი აღიარეს. მაგრამ მოსკოვში მოვლენების გათვალისწინებით, სადაც ხელშეკრულების ხელმოწერა გადაიდო, საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის კრიტიკა, როგორც ჩანს, ფორმალურ ხასიათს ატარებს...

უახლეს სახელმწიფოთა საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ალექსეი მარტინოვმა სიტუაციის კომენტირებისას ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ არაფერი კატასტროფული არ მომხდარა — მოსკოვი უარს არ ამბობს შეთანხმებაზე, მან მხოლოდ ხელმოწერის ვადა გადაწია, დაე, არ დაესახელებინოს თუნდაც მიახლოებული თარიღი. მარტინოვის აზრით, ასეთი რამის დაშვება შეიძლებოდა — შეთანხმების თავად დამუშავების პროცესი იწვევდა შენიშვნებს: ძალიან ბევრს სურდა, ყოფილიყო გამორჩეული, ცდილობდა, ჩაეწერა დოკუმენტში ის, რაც მას ყველაზე აქტუალურად ეჩვენებოდა. შედეგად შეთანხმების პროექტი სერიოზული საერთაშორისო შეთანხმების ნიმუშისგან შორს აღმოჩნდა.

## რუსეთმა სამხრეთ ოსეთთან ხელშეკრულების ხელმოწერა გადადო

**„საერთოდ, ჩემი აზრით, ახალი რუსეთ-სამხრეთი ოსეთის შეთანხმების მდგომარეობა არარაციონალურია. ურთიერთობა მოსკოვსა და ცხინვალს შორის შესანიშნავად რეგულირდებოდა 2008 წლის საბაზო შეთანხმებითაც. მას დაემატა უამრავი მთავრობათაშორისი, უწყებათაშორისი შეთანხმებები და აქტები. და ეს ყოველივე ნორმალურად მუშაობდა, ახალი შეთანხმების მიღება კი, რომელიც არსებითად არაფერს ცვლის რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის ურთიერთობებში, ნიშნავს, რომ ხსენებული სამთავრობათშორისო შეთანხმებები ხელახლა უნდა დაიდოს, ზოგიერთი გადაისინჯოს და მათ ხელახლა უნდა მოეწეროს ხელი და ა.შ. ჩემი აზრით, დროის ხარჯვა შეიძლება უფრო ეფექტიანად“**, — მიაჩნია მარტინოვს.

პოლიტოლოგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ხელმოწერა რუსეთსა და აფხაზეთს შორის მოკავშირეობის შესახებ იყო მართლაც აუცილებელი ნაბიჯი საერთაშორისო ვითარების პირობებში.

სამხრეთ ოსეთში მოინდომეს, ჰქონოდათ ანალოგიური დოკუმენტი, რეალიების გაუთვალისწინებლად, მათი გაგება, რასაკვირველია, შეიძლება. მაგრამ გაიზიარო მათი დაჟინებითი სურვილი, არ გამოდის, ვინაიდან ეს რუსეთის ინტერესებს არ შეესაბამება“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში მარტინოვმა.

ამ დროს საექსპერტო წრეებში გაჩნდა ვერსია, რომლის თანახმადაც მოსკოვმა თითქოსდა უარი განაცხადა ცხინვალთან შეთანხმების ხელმოწერაზე დასავლეთის მხრიდან კიდევ უფრო მეტი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, სადაც სამხრეთ ოსეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ. ამ მრავალმხრივ კონსპიროლოგიური ვერსიის მომხრეები მიუთითებენ იმაზე, რომ ამ დღეებში თბილისში ვიზიტით იმყოფება ეუთოს გენერალური მდივანი ლამბერტო ზანიერი. იგი უკვე შეხვდა საქართველოს უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და მოლაპარაკების ერთ-ერთი თემა გახდა რუსეთის ფედერაციის შეთანხმებები მოკავშირეობის შესახებ საქართველოს ყოფილ ავტონომიებთან.

მაგრამ თბილისში სკეპტიკურად მოეკიდნენ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ხელშეკრულება მოსკოვსა და ცხინვალს შორის არ იქნა ხელმოწერილი რუსეთის მხარეზე ერთგვარი ზემოქმედების გამო. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანაბარუფლებიანობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ზანიერის ვიზიტსა და იმას შორის, რომ მოსკოვში შეთანხმების ხელმოწერა გადაიდო, არანაირი კავშირი არ არის.

**„მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ხელმოწერის გადავადებას ან იმას, რომ მას ხელი მოეწერება მალე, არ აქვს არანაირი მნიშვნელობა, ვინაიდან ასეთი შეთანხმება არ იქნება აღიარებული საერთაშორისო გაერთიანების მიერ. დოკუმენტს არ ექნება დამოკიდებულება სამართლებრივ აქტთან, ვინაიდან მასში წარმოდგენილი ერთ-ერთი მხარე არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის ხელმძღვანელობა, მეორე კი— ქვეყანა, რომელმაც ოკუპაცია განახორციელა. მოქმედებანი საოკუპაციო რეჟიმში არ შეიძლება იყოს ლეგიტიმური და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართალს“**, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

**წინა დღით დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ავადმყოფობის შესახებ. კერძოდ, საუბარი იყო იმის შესახებ, რომ სწორედ პუტინის ავადმყოფობის გამო გადაიდო არა მხოლოდ შეთანხმების ხელმოწერა სამხრეთ ოსეთთან, არამედ რუსეთის ფედერაციის, ბელარუსისა და ყაზახეთის პრეზიდენტების სამიტიც ასტანაში 12-13 მარტს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა უარი განაცხადა, კომენტარი გაუკეთოს ხმებს რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის ავადმყოფობის შესახებ.**

НЕЗАВИСИМАЯ

## დედამიწის ზურგზე



**ევროპარლამენტი ნემცოვის მკვლელობასთან დაკავშირებით მიიღებს რეზოლუციას დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ რუსეთში**

რეზოლუციის პროექტში ბორის ნემცოვის დაღუპვას უწოდებენ „ყველაზე გახმაურებულ პოლიტიკურ მკვლელობას რუსეთის უახლეს ისტორიაში“. ევროპის პარლამენტარები მოითხოვენ, მოეწყოს ამ დანაშაულის „დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიება“. ევროპარლამენტში მაღალი შეფასება მისცეს ნემცოვის როლს დემოკრატიულ ღირებულებათა წინსვლაში.

* * *

**აშშ-მა შეიძლება დასაჯოს რუსეთის ფედერაცია სანქციებით ხელშეკრულების დაუცველობის გამო, გაგვაფრთხილა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ**



როუზ ჰოტემიულერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვაშინგტონს იმედი აქვს მოაწესრიგოს აზრთა სხვადასხვაობა მოსკოვთან დიპლომატიური გზით. ამავე დროს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ქალბატონმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ასევე განიხილავს მთელ რიგ ადეკვატურ ზომებს — დიპლომატიურს, ეკონომიკურსა და სამხედროს — პასუხის სახით რუსეთის დარღვევებზე.

* * *

**ობამამ ირანის წინააღმდეგ სანქციების მოქმედება გაახანგრძლივა**



ამჟამად ირანი ცდილობს, მოელაპარაკოს დასავლეთის ქვეყნებს ბირთვული პროგრამის რეალიზაციის შესახებ: მის მშვიდობიანი ხასიათის გარანტიებს ისლამის რესპუბლიკისგან სანქციების მოხსნას უკავშირებენ.

* * *

**კონექტიკუტში იპოვეს ჯვარზე გაკრული სკუნსი და ტაბულა „ობამა ჰყარს“ ნამგლით და უროთი**

შემაშფოთებელი ნაპოვნი გაკეთდა ქალაქ ფერფილდში. პოლიციამ უკიდურესად სერიოზულად შეაფასა პოტენციური საფრთხე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მისამართით. ინფორმაციისთვის ბოროტმოქმედის შესახებ გამოცხადებულია ჯილდო 5 ათასი დოლარის ოდენობით. ამ დროს ბარაკ ობამას პირველად როდი ადარებენ სკუნსს და აშინებენ კომუნისტური სიმბოლიკით.



# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

**ობიექტი № 1**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. იწას მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 12 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. იწას მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 139 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 213,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 628 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 2**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ხუნწის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე, „ხონის" (ცხენისწყლის) ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 86 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ხუნწის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 11 625 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 162,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობას + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 6 013 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 3**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, დაბა ჯვრის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურის ქვიშა-ხრეშის (ორი უბანი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 63 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, დაბა ჯვრის მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 8 568 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 856,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 914 |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 4**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის |

| | | |
|---|---|---|
| | | მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭურჭელაურების მიმდებარე ტერიტორია, მდ. იორზე „თიანეთის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 113 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭურჭელაურების მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 15 246 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 524,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობას + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 7 823 |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის ტექნიკური ნორმებისა და წესების დაცვით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. დილისკას მიმდებარე ტერიტორია, „დილისკას" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 178 400 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. დილისკას მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 17 907 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 790,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობას + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 9 154 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეორე გურიფულის მიმდებარე ტერიტორია, მდ.ხობის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა –77 100 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეორე გურიფულის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 338 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 033, 8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობას + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 369 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 7** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი |

| | | |
|---|---|---|
| | | კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჟიბიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 87 900 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჟიბიანის მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 11 786 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 178,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობას + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 6 093 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 8** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ხაშური, ლომოურის ქ. №37, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 730 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ხაშური, ლომოურის ქ. №37. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 23 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 205 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 22**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის (ორი ჭა) მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარალეთის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (ორივე უბანზე) – 5 475 მ$^3$/წელიწადში, თითოეულიდან - 2 737,5 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარალეთის მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 137 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 13,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 227 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 23**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და |

| | | |
|---|---|---|
| | | ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარალეთის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარალეთის მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 92 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 9,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 218 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 24** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა ლიას მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 730 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა ლიას მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 24 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 205 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 25** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორია საჭიროებს შემოღობვას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭითაწყაროს მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 365 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭითაწყაროს მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 202 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

რაგბი




# ყველა ბილეთი გაყიდულია!

**საქართველოსა და რუსეთის სარაგბო ნაკრებთა მატჩზე, რომელიც შაბათს მიხეილ მესხის სტადიონზე 17 საათზეა დაგეგმილი, ყველა ბილეთი გაყიდულია.**

საქართველოს რაგბის კავშირი ქართული რაგბის ყველა ქომაგს მოგიწოდებთ 14 მარტს მატჩის დაწყებამდე 1 საათით ადრე მობრძანდეთ ვაკეში, რათა „ბორჯღალოსნებს" გავსებული ტრიბუნები დავახვედროთ, ერთად ვიმღეროთ ჩვენი ჰიმნი და ამით საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების მე-19 შეხვედრა დაუვიწყარი გავხადოთ.

**ბეჟან დოლიძე**

ინტერვიუს კვალდაკვალ

# მეტი არგუმენტები, ბატონებო!

**ამ დღეებში გამოქვეყნდა საკალათბურთო კლუბ „სოხუმის" მთავარი მწვრთნელის ვაჟა კვარაცხელიას ინტერვიუ, სადაც ის სუპერლიგის მსაჯებს ტენდენციურობასა და „ოლიმპისადმი" „გამორჩეულ სიმპათიაში" სდებს ბრალს. ამასთან, ის თავს უფლებას აძლევს სხვა გუნდების მწვრთნელები დაუკითხავად დაიმოწმოს.**

საკალათბურთო კლუბი „ოლიმპი" არც კი უპასუხებდა ამ აბსურდულ ბრალდებას, თუმცა თავს ვალდებულად მიიჩნევს გულშემატკივრებსა და სპორტის ქომაგებს განუმარტოს, რომ აუტსაიდერი მწვრთნელის მხრიდან ადგილი ჰქონდა უსაფუძვლო ცილისწამებას არა მხოლოდ კლუბის, არამედ მსაჯ-კომისრების, სუპერლიგის სხვა გუნდების მწვრთნელების და, ზოგადად, საზოგადოების იმ ნაწილის მიმართ, ვისაც თავად შესწევს უნარი შეაფასოს როგორც გუნდის თამაში, ისე მსაჯების კვალიფიციურობა.

კანონით, როდესაც საკალათბურთო სამყაროში რომელიმე მხარეს მსაჯის გადაწყვეტილება უსამართლოდ მიაჩნია, ამ პრობლემის გადასაჭრელად „საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირს" მიმართავს. ასევე თამაშის დროს გამოვლენილი ხარვეზების შესახებ საკითხის გადაწყვეტა ხდება საქართველოს სუპერლიგის საშეჯიბრო დებულების მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

მსაჯთა კავშირის განმარტებით მათთან არავითარი საჩივარი არ შესულა. შესაბამისად, აღნიშნული ცილისწამება სასოწარკვეთილი მწვრთნელის მიერ გაჟღერებული პროვოკაციაა, რომელსაც რეალობასთან კავშირი არ გააჩნია.



თავად საზოგადოებას მივანდობთ განსაჯოს, რამდენად სანდო და ანგარიშგასაწევია ასეთი ძლიერი შემადგენლობით მოასპარეზე, მაგრამ მაინც დამარცხებული მწვრთნელის მიერ გაკეთებული კომენტარი.

ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ინტერვიუს ამღები ჟურნალისტი სიმართლეს ბოლომდე ჩაეძიება და აბსურდულ ბრალდებას პასუხი ფაქტებით გაეცემა.

თავად ვაჟა კვარაცხელიას კი ვურჩევთ, შემდგომში თავი შეიკავოს გაუწონასწორებელი კომენტარებისგან, ვინაიდან საერთაშორისო სტატუსის მქონე მსაჯებისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება არა მხოლოდ ერთ რომელიმე გუნდს, არამედ ქვეყნის მთელ საკალათბურთო სისტემას აზიანებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

სუმო

# ისევ ორივემ მოიგო!

**ქართველი სუმოისტები ტოჩინოშინი და გაგამარუ ოსაკაში მიმდინარე გაზაფხულის სუპერტურნირზე წარმატებულ ასპარეზობას განაგრძობენ. ჰარუ ბაშოს მე-5 დღეს ორივე ქართველმა გამარჯვება იზეიმა და ორივეს დადებითი ბალანსი აქვს.**

ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილმა ლევან გორგაძემ ერთადერთი მარცხის წილ მე-4 გამარჯვება დასავლეთის მე-6 მაეგაშირა კაისეისთან იზეიმა. დასავლეთის მე-4 მაეგაშირას წოდების მქონე ტოჩინოშინმა ბრაზილიელი სეკიტორი იორიკირით დაამარცხა.

ახლა გორგაძე მხოლოდ ლიდერებს – იოკოძუნა ჰაკუჰოს, სეკივაკე ტერუნოფუჯის და რიგით მაეგაშირებს – ამინიშიკის და ჩიოოტორის ჩამორჩება, რომელთაც მარცხის სიმწარე ჯერაც არ შეუგრძვნიათ. ოძეკებმა – გოეიდომ და კოტოშოგიკუმ კი პირველად წააგეს და ახლა ტოჩინოშინის დარი ბალანსი გააჩნიათ.



ქართველი სეკიტორი მომდევნო ორთაბრძოლას აღმოსავლეთის მე-5 მაეგაშირა ტოიონოშიმასთან გამართავს, რომელთანაც ურთიერთშეხვედრებში 4:7 მარცხდება.

მიმდინარე ტურნირზე დადებით ბალანსზე პირველად გავიდა თეიმურაზ ჯუღელი, იგივე გაგამარუ, რომელმაც სტარტზე განცდილი 2 მარცხის კვალად მე-3 გამარჯვება მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ქართველი გოლიათი ოსაკაში დასავლეთის მე-15 მაეგაშირას წოდებით ირჯება, მორიგ წარმატებას კი დასავლეთის მე-16 მაეგაშირა ჩიიომარუსთან მიაღწია. თეიმურაზმა მოწინააღმდეგე ოშიდაშით დაჯაბნა.

ჰარუ ბაშოს მე-6 დღეს გაგამარუ დასავლეთის მე-12 მაეგაშირა კოტოიუკის გაეჯიბრება, რომელთანაც ორივე გასული შერკინება წაგებული აქვს.

**კობა კობახიძე**

ლეგიონერი



# ზაზას მეათე ორმაგი დუბლი

**ზაზა ფაჩულიას „მილუოკი ბაქსმა" შინ ნბა–ს რეგულარული სეზონის შეხვედრაში „ორლანდო მეჯიქი" 97:91 დაამარცხა. საქართველოს ნაკრების კაპიტანი სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 23 წუთი და 47 წამი დაჰყო.**

მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ანგარიში 91:91 გახლდათ. ბოლო 2 წუთში „მილუოკიმ" საკუთარი კალათა მშრალად შეინახა, ხოლო შეტევაში ზაზას შედეგიანი პასებით მნიშვნელოვანი ბურთები ჩააგდო.

ფაჩულიამ გუნდს 10 ქულა, 12 მოხსნა და 5 პასი შესძინა. ზაზამ 8-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და 2-დან 2 საჯარიმო სროლა გამოიყენა. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველმა ცენტრმა ერთი პერსონალური ჯარიმა მიიღო და ბურთი 3-ჯერ დაკარგა.

მიმდინარე სეზონში ზაზამ მეათე ორმაგი დუბლი შეასრულა.

მატჩში ყველაზე მეტი 30 ქულა მილუოკელთა მსროლელმა კრის მიდლტონმა ჩააგდო.

„მილუოკი" 34 მოგებით და 30 წაგებით აღმოსავლეთ კონფერენციაში მეექვსე ადგილზეა.

**მანუჩარ გიორგაძე**

რინგის შედეგი

# შენგელია 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს

**ესპანური საკალათბურთო ლიგის (ACB) სადისციპლინო კომიტეტმა „ლაბორალ კუჩას" ქართველი ფორვარდი თორნიკე შენგელია 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.**

შეგახსენებთ, რომ თოკო მთავარი მოქმედი პირი გახლდათ ბასკურ დერბიში მომხდარი ინციდენტისას, როდესაც „ლაბორალ კუჩას" და „ბისკაია ბილბაოს" კალათბურთელები ერთმანეთს დაერივნენ.

ჩხუბი შენგელიას და დეიან ტოდოროვიჩს შორის დაიწყო და კომიტეტმა ყველაზე მკაცრი სასჯელი სწორედ ამ მოთამაშეებს გამოუტანა. შედეგად შენგელიას 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, ტოდოროვიჩს კი – 4-მატჩიანი.

ვინაიდან ქართველმა და სერბმა კალათბურთელებმა ესპანეთის ჩემპიონატის წინა ტურში უკვე „დაისვენეს", თორნიკე კიდევ ოთხ თამაშს გამოტოვებს, ხოლო დეიანი – სამს.

ისიც ვთქვათ, რომ სენეგალელ ძმებს მამადუ და ილიმანე დიოპებს, რომლებიც შენგელიას ყველაზე აქტიურად გამოექომაგნენ და ბილბაოელთა ლატვიელ ლეგიონერ დაირის ბერტანსს ფულადი ჯარიმა (3 000 ევრო) დაეკისრათ.

გუნდებს აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება 10 დღის განმავლობაში ესპანური ლიგის სააპელაციო კომიტეტში აქვთ და არსებული ინფორმაციით კლუბები ამ ნაბიჯის გადადგმას აპირებენ.

ცხადია, ჩამოთვლილი სანქციები არ მოქმედებს ევროლიგის გათამაშებაზე.

**ბადრი იაშვილი**



ფეხბურთი

# კადრები (არ) წყვეტენ ყველაფერს

**ფეხბურთი ჰოკეი არაა, რიცხობრივმა უპირატესობამ უმცირესობაში დარჩენილს თითქმის გადაუჭრელი პრობლემა რომ შეუქმნას. ვიდრე ძირითად სათქმელზე გადავიდოდეთ, ერთი ეპიზოდი გავიხსენოთ ახლო წარსულიდან, დანარჩენს კი თავად მიხვდებით.**

მოგეხსენებათ, თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" მატჩებს განსაკუთრებული პრინციპულობა გამოარჩევდა. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას სომხეთის დედაქალაქმა უმასპინძლა და სწორედ „რაზდანის" სტადიონზე" მოხდა ფაქტი, რომელსაც დღესაც სიამაყით ვიხსენებთ.

პირველ ტაიმში, როცა ანგარიში 1:1 იყო, უკრაინელმა მსაჯმა კუსენმა თენგიზ სულაქველიძეს გაფრთხილება მისცა, ხოლო მას შემდეგ, რაც „თეთრ-ლურჯთა" ნახევარმცველმა პროტესტი ირონიულად გამოხატა და ლვოველ შავოსანს ტაში დაუკრა ასეთი გადაწყვეტილების გამო, მინდვრიდან გააძევა.

ახალკაცის შედუღაბებული ანსამბლის სიდიადე იმაში გამოიხატა, რომ მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმის მიუხედავად, ჩვენმა გუნდმა ბრძოლა 4:1 მოიგო!

ეს შემთხვევა ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალურ რაუნდში განვითარებულმა მოვლენებმა გამახსენა, თუმცა, მოდით, ყველაფერზე თანმიმდევრობით ვისაუბროთ.



**„ჩელსი" – „პარი სენ-ჟერმენი" – 2:2**

**(დამატებით დროში. ძირითადი დრო – 1:1)**

**პირველი მატჩი – 1:1**

როგორც იცით, ამ მეტოქეთა შარშანდელ მეოთხედფინალში „არისტოკრატებმა" მძიმე გამარჯვება მოიპოვეს – 1:3, 2:0, ამიტომ პარიზში მიღწეული შედეგიანი ფრის შემდეგ ისინი წლეულსაც ფავორიტებად მიიჩნეოდნენ.

ლორან ბლანის შეგირდთა მდგომარეობა თითქმის უიმედო გახდა 30-ე წუთზე, როცა უხეშობის გამო ჰოლანდიელმა მსაჯმა კუიპერსმა წითელი ბარათი აუფრიალა იბრაჰიმოვიჩს – ამ დროს ტაბლოზე ნულები კიაფობდა.

აქედან მოყოლებული, ჟოზე მაურინიუმ რატომღაც მეტისმეტად ფრთხილი ტაქტიკით სცადა სასურველი შედეგის შენარჩუნება და დაისაჯა კიდეც, რაშიც გადამწყვეტი წვლილი სტუმართა მცველებმა შეიტანეს.

აღსანიშნავია, რომ ისინი ორჯერვე მდევრის როლში იყვნენ, მაგრამ ჯერ დავიდ ლუიზმა იხსნა პარტნიორები, ხოლო შემდეგ – ტიაგო სილვამ, თანაც ორივემ კუთხური დააგვირგვინეს ზუსტი თავური დარტყმებით. ეს მართლაც სპორტული გმირობა იყო.

**„ბაიერნი" – „შახტარი" – 7:0**

**(პირველი მატჩი – 0:0)**

დონბასელთა სტოპერი კუჩერი მე-4 წუთზე გააძევეს მინდვრიდან, რამაც განაპირობა კიდეც კატასტროფა.

**გიორგი შოთაძე**

◉ მორიგი ბლეფი

# აღდგენილი ძველი აფიორა

**შეჭირვებული მოსახლეობის გაყვლეფის რამდენი მეთოდისა და გზის მომსწრე არ იყო ჩვენი ქვეყანა! ჯერ იყო პირამიდული ბანკებისაგან მოსახლეობის ძარცვა, შემდეგ, ის საზღვარგარეთ ვითომდა სამუშაოდ მუშახელის გაგზავნამ შეცვალა. სინამდვილეში ლუკმაპურის შოვნით დაინტერესებულთ თანამემამულენი მონური შრომისთვის, ტრეფიკინგისთვის სწირავდნენ. კარგა ხნით აფიორის ეს სახეობა შეწყდა, თითქოს დავიწყებას უნდა მისცემოდა, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში უვიზოდ მიმოსვლის შემოღებამ, ყალბისმქმნელები ისევ გააქტიურა.** ზოგმა, რომელ ქვეყანაზე დაიწყო „მუშაობა“, ზოგმა – რომელზე. ისინი სოკოებივით მომრავლდა აბრით“ ტურისტული კომპანია.“ არიან ფირმები ფირმები, რომლებიც ავიაბილეთებსაც ჰყიდიან. სინამდვილეში კი, ზოგიერთი მათგანი, მუშაობის დამწყების მსურველთა საზღვარგარეთ გაგზავნით არის დაკავებული. აღმაშენებლის გამზირის 38-ში მოკალათებული „ტურისტული სააგენტო“ და „ავიაბილეთების სალარო“, „მარდი“ ისრაელის მიმართულებით სპეციალდებოდა. მან ბოლო თვეების განმავლობაში რამდენიმე მოქალაქე „გადააგდო“ სხვადასხვა თანხაში (5500-6000 დოლარი). ფირმის ხელმძღვანელმა კახა დოფიძემ ისრაელში სამუშაოდ „გასამგზავრებელი“ ადგილზე ჩაიყვანა და მუშაობის გარანტიებს აძლევდა, უფორმებდა ხელშკრულებებს, რომლითაც ფირმა ვალდებულება იღებდა, რომ ხელმოწერილი დოკუმენტის რომელიმე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში თანხას უკან დაუბრუნებდა, ხოლო მათ, ვისაც სიმწრით ნაშოვნი სამსახურის ან ახლადწამოწყებული ბიზნესის მიტოვება უწევდა, ყველაფერთან ერთად განაცდურის ანაზღაურებასაც ჰპირდებოდა. მეტი დამაჯერებლობისთვის ყველა დოკუმენტი ნოტარიულად იყო დამოწმებული. რამდენიმე თვე ელოდნენ ისრაელში წასასვლელად გამზადებულნი დოფაძის თვითმფრინავის აფრენას, მერე ოფისში დაუწყეს მიკითხვა, „მარდში“ ჯერ ტკბილი სიტყვით, დღეს-ხვალ გაშვების პირობით აწყნარებდნენ , შემდეგ კი დოფიძემ დამალვის ხერხი აირჩია. მოტყუებულები ( ასეთები კი 10-კაცია) საჩივრით პოლიციის დიდუბის მეხუთე ქვეგანყოფილებას და პროკურატურას მიადგნენ.

ისრაელში წამსვლელთა გარდა, გამოჩნდნენ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში წასვლის უიმედო მომლოდინენიც. გასამგზავრებლად ხელშეკრულების ყველა ვადის ამოწურვის შემდეგ „ტურისტულ ბიუროს“ გორის პოლიციის სამართველოშიც უჩივლეს. ორივეგან დაწყებულია საქმის ძიება.

დოფიძე თანხების აღების ფაქტებს არ უარყოფს, დაზარალებულებს ჰპირდება, რომ ხელშკრულების ყველა პირობას შეასრულებს, ოღონდ არ ასახელებს – როდის?

საზოგადოებათმცოდნე, ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტი გოგი გიორგაძე საინტერესო დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას: ყველაფერი გამოძიებისა და გამომძიებლის პრეროგატივაა. თუ საქმეს მიეცა სამოქალაქოს მიმართულება, მაშინ დოფიძეს მხოლოდ ადმინისტრაციულ სასჯელს – ჯარიმას აკმარებენ, მაგრამ, თუ გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები – ნდობის ბოროტად გამოყენება, ცრუ ინფორმაციის მიწოდება, დამალვა, გაცნობიერებული მოტყუება, რათა ზარალი მიაყენოს ( ან მიითვისოს) დაზარალებულის ქონებას, დანაშაული დაკვალიფიცირდება, როგორც თაღლითობა. მის ჩამდენს კი 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

იურიტები, სამართალდამცავები, კიდევ ერთხელ აფრთხილებენ მოსახლეობას, არ ენდონ ასეთ დამსაქმებელ ფირმებს. მათთან ხელშკრულებები იურისტის (ან ადვოკატის) თანდასწრებით და მეშვეობით გააფორმონ. გადაამოწმონ, აქვს თუ არა ამ კომპანიას რამენაირი კავშირი საზღვარგარეთთან, არსებობს თუ არა ოფიციალური მოწვევა (მოთხოვნა) მიმღები ქვეყნისგან, გასამგზავრებელ კონკრეტულ პიროვნებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსურველთ მოუწევთ გაუთავებელი სიარული პოლიციაში, სასამართლოებში, წაგლეჯილ ფულთან დამშვიდობება და ნერვების წყვეტა.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ დედაქალაქი

# „ლაბადიანი“ დახლების ცივი გაზაფხული

**ძნელი სათქმელია, თუ რამდენად საგრძნობი იქნება ხალხისთვის მთავრობის მიერ დაანონსებული „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკა, რომლის მსგავსის შესახებ წინა ხელისუფლებისგანაც არაერთგზის გვსმენია, თუმცა, რაიმე ოდნავ მაინც ხელშესახები შედეგი არც ერთ ასეთ კამპანიას ჯერ არ მოჰყოლია.**



კი მუშტარი თუ არ არის, აბა, იქ ტყუილად ყოფნას გამყიდველისთვის რა აზრი აქვს?! რა დღეშიც ვართ ყველანი, თითოეულმა ჩვენგანმა მშვენივრად იცის – მარტო ის რად ღირს, რომ ჯერ კიდევ თებერვლის მიწურულს კილოგრამი კომბოსტო, რომელიც თავისთავად ბევრი არაფერი საჭმელია, მას სხვა რამე-რუმეები“ (მაგალითად, ნიგოზი) თუ არ „შეურიე“, 60-70 თეთრი ღირდა, ახლა მისი ფასი 2,5-3-ჯერ გაიზარდა და საცაა ორლარიან ზღურბლსაც გადააბიჯებს!

ხშირად გვსმენია, თავადაც გამომითქვამს საყვედური, გარე მოვაჭრეები ბაზრების მიმდებარე ქუჩებში რომ არიან გამოფენილები, შიგნით რად არ შედიან-თქო. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ გასაჭირში ბაზრებში სავაჭრო ადგილებს ყოველდღიური გადასახადი აქვს დაწესებული, რომელთა ღირებულება ისევე განსხვავებულია, როგორც ადგილები საოპერო თეატრის დარბაზში! დღეში 6-8 ლარის „ტყუილად“ გადახდის „შნო“ გლეხობას არა აქვს, ბაზრების კერძო მეპატრონეები კი ფასებს ფეხს არ უცვლიან – ამ პატივცემულ საქმის ხალხს დიდად მაინცდამაინც არსად არ ეჩქარება.

ჰოდა, არიან ასე ამ ადრეული გაზაფხულის ჯერ კიდევ სიცივეშეპარულ წვიმიან დღეებში დედაქალაქის დიდი აგრარული ბაზრების დახლები დე-



ზერტირებზე, მუხიანში, გლდანში, თემქაზე, ნავთლუღში, სხვაგან, ცელოფნის „ლაბადებში“ გახვეული მყიდველ-გამყიდველის, უფრო სწორად კი, ლარის გამოჯანმრთელების მოლოდინში – იქნებ მერე გამოჩნდეს ხალხი.

მართალია, ახლანდელი, „მომჭირნეობის ხანის“ გამომწვევი მიზეზები და საბაბი სხვაა – ეკონომიკური სიდუხჭირე და ნაირ-ნაირი შიდა თუ საგარეო მიზეზით დოლარის გაუფასურება ალმასრულებელი ხელისუფლებისგან გარკვეულ ნაბიჯებს მოითხოვს, მაგრამ ყველაზე გასაოცარი მაინც ის არის, რომ თუკი ამ ნაბიჯისგან ხელისუფალნი რეალურ შედეგს ელიან, მაშ თავშივე რატომ დაგეგმეს გადასახადების გადამხდელთა ფულის ისე ყაირათიანად ხარჯვა, რომ ამგვარი „ქირურგიული ზომებისთვის“ მიმართვა საჭირო აღარ ყოფილიყო?.. თუმცა კი, უკაცრავად, მაგრამ ერთგვარად ემოციებს აყოლილს ის სათქმელი განზე მრჩება, რაზეც თავდაპირველად ვაპირებდი ლაპარაკს.

არადა, დოლარის მიმართ ლარის გაუფასურება თანდათანობით ჩვენს ყოველდღიურ ყოფაზე სულ უფრო მეტი სიმკაცრით ვლინდება. დახედეთ მასალას დართულ ფოტოებს, ბატონებო, და თავადვე დარწმუნდებით, თუკი დღემდე საკუთარი თვალით არ გინახავთ, რომ დედაქალაქის აგრარული ბაზრები არა მარტო მყიდველებისგან, არამედ... გამყიდველებისგანაც კი დაიცალა!

ქალაქის ცენტრში, დეზერტირების ცნობილ ბაზარშიც, მიმდებარე ქუჩაზეც, სადაც გარე მოვაჭრეებს სახელდახელო დახლები აქვთ გამართული, აღარც სურსათი აქვთ გამოტანილი, აღარც ხალხი ირევა. მიზეზი ერთია: ყველაფერი ისე გაძვირდა, რომ ხალხი სანოვაგეს ვეღარ ყიდულობს, ბაზარში

ლარი კი როდის მოყოჩაღდება ისე, რომ ხალხმა თუნდაც ცოტა ხნით შვებით ამოსუნთქვა შეძლოს, აბა, ვინ რა იცის...

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

სანთელი

# ჩემო ფიქრო და გაუსაძლისო სევდავ!



**ჩემო ფიქრო და სევდავ,**
**შენ ჩემი გულის ძგერავ,**
**შენს მერე თვალზე ცრემლი**
**არ შემშრობია ჯერაც.**
**მომნატრებიხარ ძლიერ,**
**უშენობა ვერ ვძლიე...**

ჩემო ძვირფასო, უსაყვარლესო, დაუვიწყარო დედა, 15 მარტს 5 წელი, ანუ 1834 დღე შესრულდება ჩვენი დაშორებიდან, შენი გარდაცვალებიდან. გამიჭირდა უშენობა. ეს 5 წელი გაუსაძლისი იყო ჩემთვის. უძნელესია, როცა სული მუდმივ მღელვარეა, ვერ ისვენებს, სულ რომ ბორგავს, შფოთავს, დრტვინავს, კვნესის, ტირის... ღმერთს ვთხოვ შენდობას. უფლის მწამს და მჯერა, რომ შემინდობს. უფალი ხომ მიმტევებელია, მოწყალეა, ალბათ, ვებრალები ჩემი უსუსურობის გამო. შენც შენდობას გთხოვ, დედა. მართალია, გაწუხებ, ვაფორიაქებ შენს სულს, მაგრამ ეს ხომ ჩემი შენდამი უდიდესი სიყვარულის გამო ხდება. ჩემს თავს ხშირად ვეკითხები, ეს რა სიყვარულია, როცა დედის სულს შენი საქციელით ასე ტანჯავ-მეთქი, ვცდილობ, არ შეგაწუხო, მაგრამ არ გამომდის, ვაღიარებ სუსტი, უსუსური გავხდი შენს მერე. ოი, როგორ მენატრები დედა, ძალიან, ყველაზე ძალიან მიყვარხარ. შენს მონატრებაში გადის დღეები.

ოი, როგორ მინდა შენთან ვიყო, მოგეფერო, გულში ჩაგიხუტო, ვიგრძნო შენი სითბო, შენი სურნელი...

შენთან მინდა ვიყო დედი, შენთან მინდა, მაგრამ ჩემი შვილები, შენი გაზრდილი შვილიშვილები ედუარდი და გიორგი მეცოდებიან. გულში ჩემთვის ვამბობ, თუ ჩემს ასაკში მჭირდება დედა, ამათ, ჯერ კიდევ ახალგაზრდებს, მეტად არ უნდათ-მეთქი დედა?! შვილს დედა ყველა ასაკში სჭირდება, რადგან დედაზე ერთგული, დედაზე თბილი და ტკბილი, დედასავით სანდო და ძვირფასი ამ საწუთროში არავინ არსებობს.

ყველა ცოცხალ დედას დიდი ხნის ბედნიერ სიცოცხლეს ვუსურვებ, გარდაცვლილთ კი შენი სახით, დამკვიდრებას ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწვანილოვანსა და ადგილსა განსასუენებელსა, სად არა არს ჭირი, მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი, სადაც მართალნი განისვენებენ. ამინ!

**ნანული (ნანა) გუნია,**
**შენს ნახვას მონატრებული, შენზე უსაზღვროდ**
**შეყვარებული შენი დედისერთა შვილი.**

---

**შვილი ნანული (ნანა) გუნია, შვილიშვილები ედუარდი, გიორგი, რძლები თამარი, ნანა, ნინო, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ 2015 წლის 15 მარტს, 15 საათზე დანიშნულია**

**მერი (მარიამ) მიხეილის ასული ჭანტურიას**

**სამოქალაქო პანაშვიდი აბაშის რაიონის სოფელ მაცხოვრისკარის (განათლებისკარის) სასაფლაოზე.**

---

**მეუღლე ლია ჭაჭია, შვილი გია, შვილიშვილები ელენე, ანა მესხიშვილები, რძალი ნინო ლალიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**კოტე მესხიშვილი**

**პანაშვიდი 12, 13 III, მის. ილია ჭავჭავაძის პრ. 2/12. გამოსვენება წმ. პანტელეიმონის ეკლესიიდან 14 სთ. (ვერის სასაფლაო).**

---

**საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი სამძიმარს უცხადებს ს. გ. „თბილპურის“ ყოფილ გენერალურ დირექტორს ოთარ სუთიაშვილს ქალიშვილის**

**ქეთევან სუთიაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

## განცხადება

2015 წლის 25 მარტს 15 საათზე გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88“-ის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება მისამართზე: თბილისი, გოგოლის ქ. №9.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობის მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი).
2. საორგანიზაციო საკითხები (ამხანაგობის იურისტი თ. კობერიძე)

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.

**ამხანაგობის გამგეობა**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◉ რეიტინგი

# პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკის ზრდა

**„ფორბსის“ უკრაინულმა გამოცემამ პოსტსაბჭოთა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს, ეკონომიკური ზრდის რეიტინგი გამოაქვეყნა, ამ ქვეყნების დამოუკიდებლობიდან დღემდე.**

რეიტინგის მიხედვით, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველო მე-11 პოზიციაზეა, დამოუკიდებლობის 23 წლის შემდეგ კი ეკონომიკური ზრდის მხრივ, პირველ ადგილზე ესტონეთია. სტატიის თანახმად, საბჭოთა კავშირის ყოფილმა ქვეყნებმა განვითარების სხვადასხვა გზა აირჩიეს და ზოგიერთმა მათგანმა ფსონი სახელმწიფო კაპიტალიზმზე დადო. ასე მაგალითად, რუსეთის, ყაზახეთის, ბელორუსის, აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და უზბეკეთის ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორი დომინირებს, კერძო კომპანიებში წარმოების მცირე წილი მოდის.



ეკონომისტების თქმით, 2000-იანი წლების შუა პერიოდიდან საქართველომ ეკონომიკის ლიბერალიზაციის მხრივ დიდ წარმატებებს მიაღწია, თუმცა ბოლო წლებში ეს პროცესები შენელდა. იმავე შეფასებით, სომხეთში, საქართველოსა და მოლდოვაში ადგილობრივ ოლიგარქებს პოლიტიკური გავლენა მხოლოდ საკუთარ რეგიონებში აქვთ, მათი ქონება კი ხშირად საკუთარი ქვეყნის გარეთ არის დარეგისტრირებული.

**„საქართველოს უახლესი ისტორია ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილისა და მისი ლიბერალური გუნდის მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ პერიოდად იყოფა. რამდენიმე ომის, მათ შორის, სამოქალაქო, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ომების გამო ქვეყანამ ეკონომიკის ყველაზე მკვეთრი შემცირება განიცადა საბჭოთა კავშირის სხვა ყოფილ ქვეყნებთან შედარებით“,** – ნათქვამია „ფორბსის“ უკრაინული გამოცემის სტატიაში.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური ზრდის რეიტინგის შედგენისას „ფორბსმა“ გაითვალისწინა ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა მშპ-ს დინამიკა და მასთან დაკავშირებული საკვანძო პარამეტრები განვითარების ძირითად ეტაპზე. უკრაინული „ფორბსის“ მიხედვით, 2014 წელს საქართველოს მშპ-მა ერთ სულ მოსახლეზე 7 665 დოლარი შეადგინა. რაც შეეხება რეიტინგის სხვა ქვეყნებს, ეს მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება – ესტონეთში მშპ-მა ერთ სულ მოსახლეზე 26 555 დოლარი შეადგინა, ყაზახეთში – 24 144 დოლარი, ბელორუსში – 18 178, უზბეკეთში – 5564 დოლარი, აზერბაიჯანში – 17 943, თურქმენეთში – 14 175, სომხეთში – 7 365, ლატვიაში - 23 904, ლიტვაში – 26 700, რუსეთში – 24 764, მოლდოვაში – 4 830 დოლარი, უკრაინაში – 8 240, ყირგიზეთში – 3 385 დოლარი, ტაჯიკეთში კი – 2 677 დოლარი.

◉ პრეზიდენტები „მშივრები“ რომ არ დარჩნენ...

# მსოფლიო ლიდერთა ანაზღაურება

**აშშ-ის პრეიზდენტი ბარაკ ობამა მსოფლიო ლიდერებს შორის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ლიდერია.**

CNN-ის მონაცემებით, აშშ-ის ლიდერის წლიური ხელფასი 400 ათასი დოლარია. ამერიკაში პრეზიდენტის ხელფასი 2001 წელს გაორმაგდა, როდესაც ქვეყნის სათავეში ჯორჯ ბუში-უმცროსი მივიდა. ბარაკ ობამას საკმაოდ ჩამორჩებიან გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ ქემერონი, საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი.




CNN-ის ინფორმაციით, აშშ-ის პრეზიდენტის შემდეგ ყველაზე მაღალი ანაზღაურება კანადის პრემიერ-მინისტრს სტივენ ჰარპერს აქვს, რომლის წლიური ხელფასიც 260 ათასი დოლარია. 234 383 დოლარს (216 000 ევრო) შეადგენს გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ყოველწლიური ხელფასი. მიმდინარე წლის მარტის დასაწყისიდან გერმანიის კანცლერისა და მინისტრების ხელფასები 2,2%-ით გაიზარდა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ ქემერონი ყოველწლიურად 214 782 დოლარს (142 500 ფუნტი) გამოიმუშავებს და ამ თანხაში მისი პარლამენტის წევრობის ხელფასიც (67 060 ფუნტი) შედის.

2012 წელს საფრანგეთის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ფრანსუა ოლანდმა ხელფასი 30%-ით შეიმცირა, რის გამოც ახლა მისი ყოველწლიური ანაზღაურება მხოლოდ 194 300 დოლარს შეადგენს. მანამდე საფრანგეთის პრეზიდენტის ხელფასი 274 522 დოლარი იყო. ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის გამო, გასულ კვირას ხელფასის 10%-ით შემცირებაზე განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმაც, რომლის წლიური ანაზღაურება 8,2 მილიონ რუბლს - 136 ათას დოლარს შეადგენს. მსოფლიო ლიდერებს შორის ყველაზე დაბალი ანაზღაურება ჩინეთის პრეზიდენტს ქსი ძინპინს აქვს, რომლის ხელფასიც წლიურად მხოლოდ 22 ათასი დოლარია. თუმცა, ეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩინეთის ლიდერის ხელფასი მიმდინარე წლის დასაწყისიდან 60%-ით შემცირდა.

**რაც შეეხებათ მსოფლიოს სხვა ქვეყნების ლიდერებს, მათი ყოველწლიური ანაზღაურება ასე გამოიყურება:** სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი ჯეიკობ ზუმა – 223 500 დოლარი, იაპონიის პრემიერ-მინისტრი შინზო აბე – 202 700 დოლარი, იტალიის პრემიერ-მინისტრი მატეო რენცი – 124 600 დოლარი, ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა რუსეფი – 120 ათასი დოლარი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნარენდრა მოდი – 30 300 დოლარი.

◉ ციფრები და ფაქტები

# ასე გამრავლდება მსოფლიო?

**აბორტი ლათინურად „არადროულ დაბადებას“ ნიშნავს. არის თვითნებური და ხელოვნური.**

ფეხმძიმობის კლინიკურად დადგენილი შემთხვევების 15-20 პროცენტი თვითნებური აბორტით – მუცლის მოშლით მთავრდება.

ზოგიერთ ქვეყანაში ხელოვნური აბორტი აკრძალულია; ზოგიერთში – მას აკეთებენ მხოლოდ სამედიცინო მაჩვენებლების მიხედვით, თუ ფეხმძიმობა ქალის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება ან თუ იგი გაუპატიურების შედეგად მოხდა; ზოგიერთ ქვეყანაში აბორტი კანონმდებლურად ნებადართულია.

**3,5 მილიონ აბორტს წელიწადში იკეთებენ ქალები რუსეთში – ეს 2-ჯერ მეტია, ვიდრე მთელ ევროპაში.**

თანამედროვე სამედიცინო სტანდარტებით, ხელოვნური აბორტი, როგორც წესი, ტარდება ფეხმძიმობის 20 კვირის დროს ან თუ ფეხმძიმობის ვადები უცნობია – ნაყოფის 400 გრამამდე წონის დროს.

განვითარებულ ქვეყნებში, სადაც აბორტი ნებადართულია კანონმდებლობით და მას სამედიცინო მუშაკები ასრულებენ, სიკვდილიანობა აბორტის შედეგად დაბალია – 0,2-20 სიკვდილიანობა 100 000 აბორტზე. და მაინც აბორტი ყოველთვის როდია უსაფრთხო. ხელოვნურ აბორტებს აკეთებდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ 3-2 ათასწლეულში. ძველ ეგვიპტეში რომ შეეწყვიტათ არასასურველი ფეხმძიმობა, ნიანგის ექსკრემენტს იყენებდნენ.

**ქალების დაახლოებით 50 პროცენტი, ვინც აბორტს იკეთებს, 25 წელზე ახალგაზრდაა.**

ყველა აბორტის ორ მესამედს იკეთებენ ქალები, რომლებიც არასოდეს ყოფილან გათხოვილი.

**დღეს აბორტების ყველაზე დაბალ პროცენტს ბელგიასა და ნიდერლანდში ითვლიან.**

140 პროცენტით იზრდება მკერდის კიბოს რისკი აბორტის შემდეგ, ხოლო ქალებისთვის სამი და მეტი აბორტის შემთხვევაში – 240 პროცენტით.

**ულტრაბგერითი დიაგნოსტიკისა და ამნიოცენტეზის – ნაყოფის მახლობელი წყლის ამოღება და გამოკვლევა-განვითარება საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ ბავშვის სქესი დაბადებამდე, რამაც ზოგიერთ ქვეყანაში აბორტების რიცხვის გაზრდასთან მიგვიყვანა ჩანასახის სქესთან დაკავშირებით.**

ხელოვნური აბორტი არის მედიკამენტოზური და ქირურგიული. ეს უკანასკნელი ყველაზე გავრცელებულია, თუმცა, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მას უფრო სახიფათოდ მიიჩნევს და გვირჩევს მივმართოთ მას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

**მედიკამენტოზური აბორტი 10-ჯერ ნაკლებ უშუალო გართულებას იწვევს, ვიდრე ქირურგიული.**

◉ ცინცხალი ანეკდოტები

**მოგვეცით ასი მილიონი დოლარი და სამყაროს გადავატრიალებთ.**

**მოგვეცით ორასი მილიონი და თავს დავანებებთ სამყაროს.**

* * *

**– შვილო, ბოსელი დაკეტე? – ეკითხება პეტკა ივანს.**

**– კი, მამი.**

**– ხვრელი ამოქოლე, რომ ძროხა არ გამოძვრეს?**

* * *



**სოფლის დისკოთეკაზე გოგონა განმარტოებით დგას. არავინ არ ეცეკვება. უცებ ვიღაც ახმახი მიეჭრა და საცეკვაოდ გაიწვია.**

**– აქაური ხართ? – ეკითხება გოგო.**

**– კი.**

**– აბა აქამდე რად არ მინახიხართ?**

**– 15 წელი ციხეში ვიჯექი.**

**– რისთვის?**

**– ჩემი ცოლი ნაჯახით ავკუწე.**

**გოგო ვარცხნილობას ისწორებს და გაცისკროვნებული თვალებით ეკითხება:**

**– ესე იგი, უცოლო ხართ?**

* * *

**ქალის გაგება იოლია: იგი გადაშლილი წიგნივითაა. მართალია, ეს წიგნი კვანტურ ფიზიკაზეა და ჩინურ ენაზეა დაწერილი, მაგრამ გადაშლილი ხომ არის?**

◉ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24